

ქურნალისტიკის სახელმძღვანელო

კონფლიქტური
სიჭუასრობის
ბაშუქებრის
საფუძვრებრ

www.idem-institute.org

fnfsc.fnst.org



კანდელი კანი

ულრიკე ფიშერ-გუტმალოიუს
თანაავტორობით

**კონფლიქტური
სიტუაციების გაშუქების
საფუძვლები**

ფრიდრიხ ნაუმანის ფონდი თავისუფლებისთვის

Friedrich Naumann
STIFTUNG **FÜR DIE FREIHEIT**



ISBN 978-9941-27-631-6

© Friedrich Naumann Stiftung für die Freiheit

შინაარსი

კონფლიქტ-სენსიტიური ჟურნალისტიკა – შესავალი	11
ცოდნა და უნარები	13
რა არის კონფლიქტი?	13
რა იწვევს კონფლიქტს?	16
კონფლიქტი და ძალადობა – რა განსხვავებაა?	22
რას ნიშნავს კონფლიქტ-სენსიტიური?	25
კონფლიქტის ანალიზი ჟურნალისტებისთვის	26
კონფლიქტის ესკალაციის ეტაპები	30
ჟურნალისტების წვლილი კონფლიქტის გადაჭრასა და მშვიდობის დამყარებაში	35
მედიის როლი კონფლიქტში	36
მშვიდობიანი ჟურნალისტიკის კონცეფცია	40
სამშვიდობო სია და კონფლიქტ-სენსიტიური ჟურნალისტიკა	45
კონფლიქტ-სენსიტიური ჟურნალისტიკის მაგალითები	49
უსაფრთხოების ზომები	55
ბიბლიოგრაფია	57

„ფრიდრიხ ნაუმანის ფონდი თავისუფლებისათვის“ მსოფლიოს 60-ზე მეტ ქვეყანაში იცავს ლიბერალურ ფასეულობებს, როგორცაა: ადამიანის უფლებები, ღია საზოგადოება, განათლება, სოციალური საბაზრო ეკონომიკა, პასუხისმგებლობა და ინდივიდუალური თავისუფლება.

ამ საქმიანობის ფარგლებში 2016 წელს ფრიდრიხ ნაუმანის ფონდმა გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროს მხარდაჭერით დემოკრატიის, მედიისა და კულტურული ურთიერთგაცვლის ინსტიტუტსა და ადგილობრივ პარტნიორებთან თანამშრომლობით წამოიწყო სამწლიანი საგანმანათლებლო პროექტი სამხრეთკავკასიელი ჟურნალისტებისათვის.

სამ თხუთმეტკაციან ჯგუფში სხვადასხვა ასაკისა და პროფესიული გამოცდილების მქონე ჟურნალისტებმა სომხეთიდან, აზერბაიჯანიდან და საქართველოდან მიიღეს მაღალი დონის ტრენინგები და პრაქტიკული გამოცდილება ეკონომიკის, კულტურული ფასეულობებისა და კონფლიქტების თემებზე ობიექტური ჟურნალისტური საქმიანობის შესახებ.

ამ საგანმანათლებლო პროექტის მიზანია – წვლილი შეიტანოს მიუკერძოებელი ჟურნალისტიკის განვითარებაში და რეგიონალური მედიის წარმომადგენლებს შორის კავშირები დაამყაროს.

სამხრეთკავკასიის რეგიონის ჟურნალისტებისა და საერთაშორისო და ადგილობრივი ექსპერტების ამ თეორიული და პრაქტიკული თანამშრომლობის შედეგად მომზადდა სამი სახელმძღვანელო ობიექტური ჟურნალისტიკის თემაზე სამ კონკრეტულ სფეროში: ეკონომიკა, კულტურული ფასეულობები და კონფლიქტები.

პეტერ-ანდრეას ბოხმანი

ფრიდრიხ ნაუმანის ფონდ თავისუფლებისათვის
სამხრეთ კავკასიის პროექტის ხელმძღვანელი

ავტორის შესახებ

დოქტორი პანდელი პანი 25 წელია მუშაობს ჟურნალისტად, კონსულტანტად და ატარებს ტრენინგებს. მან მოამზადა და ჩაატარა ჟურნალისტების არაერთი გადამზადების ტრენინგი უკრაინაში, ბალკანეთის, დსთ-ს და ცენტრალური აზიის ქვეყნებში. როგორც კონსულტანტი, ის მეტწილად დაკავებულია სახელმწიფო რადიომაუწყებლობის საზოგადოებრივ რადიოდ გარდასახვისა (აღმოსავლეთი ევროპა, უკრაინა) და საკრებულოების რადიოს (Community Radios) ჩამოყალიბების (სამხრეთ-აღმოსავლეთი ევროპა, მიანმა) პრობლემატიკით. მონვეული პედაგოგის სტატუსით მოღვაწეობდა ბერლინის თავისუფალ უნივერსიტეტში, ბონისა და იენის უნივერსიტეტებში, ასევე ტირანას უნივერსიტეტში, კირილესა და მეთოდეს სახელობის უნივერსიტეტში (ბულგარეთი) და ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში.

თანავტორის შესახებ

დოქტორი ულრიკე ფიშერ-ბუტმალოიუ არის ჟურნალისტი, ტრენინგების წამყვანი და დოცენტი. ბერლინის თავისუფალი უნივერსიტეტის ჟურნალისტთა საერთაშორისო კოლეგიაში უძღვებოდა გადამზადების ტრენინგებს, რომლებშიც მონაწილეობდნენ ჟურნალისტები ევროპის ყველა ქვეყნიდან, დსთ-დან და აშშ-დან. ტრენინგებისა და ლექცია-სემინარების ჩასატარებლად მინვეული იყო ეგვიპტეში, პალესტინაში, განაში, კამბოჯაში, ცენტრალურ აზიაში, ბალკანეთისა და კავკასიის ქვეყნებში, მიჰყავდა მედია-კულტურის (Media Literacy), პოლიტიკური კომუნიკაციის, ჟურნალისტური პრაქტიკის კურსები. მისი სადოქტორო ნაშრომის თემაა რუსული მედია კრიზისულ სიტუაციებში.

თავისუფალი და დამოუკიდებელი მედია მნიშვნელოვან როლს ასრულებს ქვეყანაში დემოკრატიული კულტურის შესანარჩუნებლად. მას წვლილი შეაქვს საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბებაში და, ამგვარად, ცენტრალურ საზოგადოებრივ ამოცანას ასრულებს. ამ ფუნქციის ღირსეულად შესრულება რომ შეძლონ, ჟურნალისტებს განსაკუთრებული პრივილეგიები და კვლევის შესაძლებლობები ეძლევათ. თუმცა ეს მათ აუდიტორიისა და ზოგადად საზოგადოების წინაშე მნიშვნელოვან პასუხისმგებლობასაც აკისრებთ. ეს პასუხისმგებლობაა არამხოლოდ *რეპორტაჟის მსვლელობისას სიფრთხილის მოვალეობა*, როდესაც საქმე დელიკატურ თემებს ეხება, როგორცაა, მაგალითად, კონფლიქტი ანდა კაპიტალის ბაზრებისა თუ ფინანსური პროდუქტების შესახებ ინფორმაცია, არამედ პროფესიული დონის მუდმივად ამაღლების *აუცილებლობაც*.

საქართველოში, სომხეთსა და აზერბაიჯანში ჩვეულებრივი ჟურნალისტური განათლება ზოგადი მიმართულების ჟურნალისტების აღზრდისკენაა მიმართული, ვინც „ყველაფერზე“ წერენ. პროფესიული მომზადების ფართო სპექტრი საშუალებას აძლევთ, სხვადასხვა თემაზე წერონ. მაგრამ, რადგან მათი განათლება, პირველ ყოვლისა, დღის აქტუალური თემების დამუშავებაზე და სიღრმის ნაცვლად სიფართოვეზეა გათვლილი, ამიტომაც მათ პროფესიულ საზღვრებს მათივე ზოგადი განათლება განსაზღვრავს, ხოლო ახალი თემების შესასწავლად და ცოდნის გასაღრმავებლად დრო აღარ რჩებათ; იმავე პრობლემას აწყდებიან მაშინ, როდესაც კონფლიქტების, კრიზისებისა თუ კატასტროფების შესახებ უნევთ რეპორტაჟის მომზადება.

ფინანსებისა და ბიზნესის შესახებ რეპორტაჟის, საზოგადოებაში „განსხვავებულობასთან“/„მრავალფეროვნებასთან“ მიმართებისა და, ასევე, კონფლიქტებისადმი ფაქიზი ჟურნალისტიკის თემებზე ჩატარებული ტრენინგებით ფრიდრიხ ნაუმანის ფონდი თავისუფლებისათვის ეხმაურება არამხოლოდ სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში ამ თემებთან დაკავშირებით შექმნილ მოთხოვნილებას, არამედ ზოგადად მსოფლიოში ჟურნალისტების მიმართ მოთხოვნების ზრდასაც, რადგან ჟურნალისტებს დღითი დღე სულ უფრო მეტი პროფესიული და სოციალური უნარები მოეთხოვებათ.

როგორ უნდა წერონ ჟურნალისტებმა ფინანსურ თემებზე ისე, რომ მათი რეპორტაჟი საინტერესო, ცოცხალი და მკითხველისათვის გასაგები გამოვიდეს? როგორ მოიძიონ ინფორმაცია ფინანსური და ბიზნეს-ორგანიზაციების შესახებ? როგორ შეინარჩუნონ ობიექტურობა კრიზისების, კონფლიქტებისა და ომების შესახებ წერისას? რა კრიტერიუმებით იზომება ჟურნალისტური კვალიფიკაცია კრიზისულ ეპოქებში? რამდენად დიდ გავლენას ახდენს სტერეოტიპები და ცრურწმენა შესაბამისი ქვეყნების მედიაზე? როგორი შეიძლება იყოს დისკრიმინაციისაგან თავისუფალი რეპორტაჟი? – ეს, ზოგიერთი ის საკითხი თუ თემაა, რომლებიც ვორქშოპებზე განიხილეს. თეორიული ცოდნა პრაქტიკული ჟურნალისტური სამუშაოთი შეავსეს. ვორქშოპის ფარგლებში მონაწილეები სამ ჯგუფად დაიყვნენ და ერთობლივ პროექტებზე იმუშავეს, გამოკითხვები და ინტერვიუები აწარმოეს, მიღებული ინფორმაცია გააღრმავეს და აქცენტები გამოყვეს. შემდეგ მომზადებული პროექტების საერთო განხილვა მოხდა და მონაწილეებს მიეცათ საშუალება, თავიანთ სამუშაოზე ესაუბრათ, პირველ ყოვლისა კი, ჟურნალისტური ეთიკის პრობლემები განეხილათ.

საერთაშორისო ჯგუფებში მუშაობისას მონაწილეებს საშუალება მიეცათ, ურთიერთგადამკვეთი თემები განეხილათ და პროფესიული არეალი გაეფართოებინათ, ამასთან ისეთი

დაქსელილი კონტაქტები დაემყარებინათ, სამომავლო მუშაობაში რომ დაეხმარებათ. დამატებითი კომპეტენციის განვითარებით ვორქშოპების მონაწილეთათვის ახალი პროფილების შექმნის შესაძლებლობებიც ჩნდება, რაც მათთვის საკუთარი საბაზრო ფასის ამაღლების საწინდარიცაა. მონაწილეთა დიდი ინტერესი, ის ცოცხალი დისკუსიები, რომლებიც ვორქშოპების მსვლელობისას და მათ შემდგომაც გაიმართა, და ერთობლივად მომზადებული პროექტები აშკარად ცხადყოფს, თუ რამდენად მნიშვნელოვანია გადამზადების ამგვარი ღონისძიებები ჟურნალისტური პროფესიონალიზმის ამაღლებისათვის.

დაბოლოს, რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია: ერთმანეთთან შეხვედრის, ერთურთის უკეთ გაცნობისა და ერთობლივი მუშაობის შესაძლებლობამ სხვადასხვა ეროვნების წარმომადგენელი ჟურნალისტები მრავალი ცრურწმენისა თუ სტერეოტიპისაგან გაათავისუფლა. ყველა მონაწილეს იმედი აქვს, რომ მომავალში შეძლებენ არამხოლოდ საკუთარი რეპორტაჟებით თავიანთი აუდიტორიის უკეთ ინფორმირებას, არამედ ხალხთა შორის ურთიერთგაგებაში წვლილის შეტანასაც.

პანდელი პანი

ნოემბერი, 2017

კონფლიქტ-სენსიტიური ჟურნალისტიკა – შესავალი

სენსაციური ამბების, მოულოდნელი სიახლის, ოპერატიული ექსპერიმენტების, ღონისძიებებისა და მოვლენების პირდაპირ ეთერში გაშუქება... მასობრივი კომუნიკაციის სფეროში მასებთან ურთიერთობის ხერხები შეცვლილია. რადიო, ტელევიზია, გაზეთები საშუალებას გვაძლევს, ერთდროულად მილიონობით ადამიანს მივანოდოთ ინფორმაცია. ტექნოლოგიურ წინსვლასთან ერთად, საინფორმაციო საშუალებების გავლენა საზოგადოებაზე გეომეტრიული პროგრესით იზრდება. ადგილმდებარეობის მიუხედავად, ინტერნეტით სწრაფი კომუნიკაცია ყველგან შესაძლებელია. ჩვენ ვცხოვრობთ ეპოქაში, როდესაც მედია საზოგადოებრივ ცხოვრებაში ისეა შეჭრილი, როგორც არასდროს. დილით, ფინჯან ყავას ან ჩაის მივირთმევთ და ონლაინტატიებს ვკითხულობთ, ავტობუსის მოლოდინში სოციალურ ქსელსა თუ მობილურ ტელეფონზე მიღებულ შეტყობინებებს ვამონწმებთ, „ტვიტერს“ ვათვალიერებთ, საღამოს ტელევიზორს ვუყურებთ – მსოფლიოში მიმდინარე ახალი ამბები უწყვეტად მოგვეწოდება.

მასმედია სოციალური ურთიერთკავშირის საშუალებაა. ის თითოეულ ჩვენგანს უთმობს ტრიბუნას იმისთვის, რომ სოციალურ თუ პოლიტიკურ საკითხებზე მოსაზრებები გამოვთქვათ და ერთმანეთს ინფორმაცია გავუზიაროთ. მასმედია ყველაფერს თვალს ადევნებს და შემდეგ ამბავს გადმოგვცემს, ანუ მასმედია სოციალურ კონტროლს ახორციელებს. ეს მისი დადებითი მხარეა.

თუმცა, მასმედია პირდაპირ გავლენას ახდენს ჩვეულებრივი ადამიანის აზროვნებაზე, მას მანიპულირების უნარი აქვს; ეს მის უარყოფით მხარედ მიიჩნევა. „მასობრივი კომუნიკაციის“ ავტორი, ჯოზეფ კლაპერი ამბობს, რომ ის, რასაც მასმედია აკეთებს, მეტი არაფერია თუ არა „თანხმობის ინჟინერინგი“.

მასმედიის უარყოფითი მხარე კიდევ უფრო კარგად ჩანს, როდესაც საზოგადოებაში კონფლიქტი მწიფდება. ქვეყნებში, სადაც კონფლიქტებია და ადამიანის უსაფრთხოება არ არის დაცული, ჟურნალისტები დიდი სირთულეების წინაშე დგანან. დაპირისპირებული მხარეები მედიის გაკონტროლებას ცდილობენ. ცენზურის გამო ინფორმაცია სანდოობას კარგავს. ხშირია შემთხვევა, როდესაც აუდიტორია კონფლიქტისა და სამეზობლოში მიმდინარე მოვლენების შესახებ მხოლოდ რეპორტიორის მიერ მომზადებული სიუჟეტიდან იღებს ინფორმაციას. ასე რომ, ის, თუ როგორ შეფუთავს რეპორტიორი კონფლიქტს, განაპირობებს აუდიტორიის კეთილგანწყობის ჩამოყალიბებას ერთი რომელიმე პარტიის სასარგებლოდ. ეს აძლიერებს ან პირიქით, ანეიტრალებს კონფლიქტს. კიდევ ერთი სუსტი წერტილი ისაა, რომ ჟურნალისტების უმრავლესობა მიმდინარე კონფლიქტის შესახებ მხოლოდ ინფორმაციას გვანვდის და მათ არ ეხებათ კონფლიქტების პრევენციისა და მოგვარების გზების ძიება.

მიუხედავად ამისა, განსაკუთრებით ძალადობრივი კონფლიქტის დროს, ჟურნალისტებმა უნდა უზრუნველყონ აუდიტორიისთვის საიმედო და მიუკერძოებელი ინფორმაციის მიწოდება, რათა საზოგადოებას ჰქონდეს სწორი ინფორმაცია არსებული ძალადობრივი კონფლიქტის შესახებ. ჟურნალისტებმა ამ გზით უნდა შეიტანონ წვლილი კონფლიქტის მოგვარებაში. ჟურნალისტს კარგად უნდა ესმოდეს კონფლიქტების დროს მედიის როლი და პასუხისმგებლობა, პროფესიულად, პროვოკაციის გარეშე მიაწოდოს საზოგადოებას ინფორმაცია და დაპირისპირებულ მხარეებს კონფლიქტის მოგვარების გზების ძიებაში დაეხმაროს.

ამას კონფლიქტის მიმართ სენსიტიური ჟურნალისტიკა ანუ კონფლიქტ-სენსიტიური ჟურნალისტიკა ეწოდება.

ჟურნალისტიკის განსაკუთრებული როლი მოითხოვს კონფლიქტის წარმოშობის, მისი განვითარებისა და დასრულების მიზეზების ღრმად გაანალიზებას. აუცილებელია, ჟურნალისტს ახალი ამბების მოპოვების, დამუშავებისა და პრეზენტაციის გამორჩეული უნარი ჰქონდეს, კონფლიქტისა და გადაწყვეტილებების შესახებ ინფორმაციის მიწოდების დროს, ის კონფლიქტის სენსიტიურობას უნდა ითვალისწინებდეს.

ცოდნა და უნარები

ჟურნალისტები, საქმიანობის დროს, ხშირად ეხვევიან კონფლიქტში და ზოგჯერ არც იციან ამის შესახებ. ბევრი ჩვენგანი კონფლიქტს შეიარაღებულ შეტაკებასთან აიგივებს. თუმცა, კონფლიქტი შეიძლება გამოიწვიოს საზოგადოებაში მიმდინარე ყველა სახის ცვლილებამ, რადგან ცვლილებების გამო უთანხმოება ხშირია. ამიტომ ჟურნალისტი კარგად უნდა ერკვეოდეს კონფლიქტის წარმოქმნის მიზეზებსა და მოგვარების ხერხებში.

რა არის კონფლიქტი?

კონფლიქტი არის ორაზროვანი კონცეფცია, რომელიც სხვადასხვა ჯგუფსა და სხვადასხვა კონტექსტში სხვადასხვა მნიშვნელობას იღებს. კონფლიქტი გაგებულია, როგორც უარყოფითი ფენომენი და ასოცირდება ძალადობასთან, მაგრამ ძალადობა და კონფლიქტი სინონიმები არ არის. ძალადობა კონფლიქტის გამოვლინებაა, აქედან გამომდინარე, სოციოლოგები კონფლიქტის მნიშვნელობის გასაგებად უფრო ფართო და პოზიტიურ

მიდგომას ირჩევენ. ამ მიდგომის მიხედვით, კონფლიქტი განიხილება როგორც ბუნებრივი მრავალგანზომილებიანი ფენომენი, რომელიც, როგორც წესი, საზოგადოების შიგნით მიმდინარე ცვლილების მაჩვენებელია. ასე რომ, კონფლიქტი ნორმალურ მოვლენად მიიჩნევა და სოციალური და პოლიტიკური ცხოვრების ლეგიტიმურ ნაწილად რჩება, როდესაც საზოგადოებაში ცვლილებები ხდება. საზოგადოებას სიფრთხილე მართებს, რომ კონფლიქტი ძალადობაში არ გადაიზარდოს.

კონფლიქტი ხდება მაშინ, როდესაც ორი ან მეტი მხარე (ინდივიდი ან ჯგუფი) მიიჩნევს, რომ მათი ინტერესები, მიზნები ან ამბიციები ერთმანეთთან შეუთავსებელია, გამოსატყვევებელი მტრულ დამოკიდებულებას და თავისი ქმედებით ხელს უშლიან სხვა მხარეთა ინტერესების გატარებას. თუ ჩართული მხარეები უთანხმოებას ან კონფლიქტს მშვიდობიანად და კონსტრუქციულად მართავენ, კონფლიქტს დადებით პროცესად აღიარებენ. თუ კონფლიქტი დესტრუქციული ძალის გამოყენების გარეშე მიმდინარეობს, ის სოციალური ცხოვრების შემადგენელ კომპონენტად მიიჩნევა და ხელს უწყობს საზოგადოების პოზიტიურ განვითარებას.

თუმცა, როდესაც მხარეები თავიანთი მიზნების მშვიდობიანად მიღწევას არ ცდილობენ და ძალადობას მიმართავენ, კონფლიქტი ძალადობრივი ხდება. აქედან გამომდინარე, კონფლიქტების პრევენცია კონფლიქტების თავიდან აცილება კი არა, ძალადობრივი ესკალაციის თავიდან აცილებაა.

ძალადობრივი კონფლიქტები არ არის გარდაუვალი პროცესი და არ ვითარდება ერთ ღამეში. კონფლიქტი დინამიკური პროცესია, რომელიც სხვადასხვა ფორმას იღებს და ესკალაციისა და დეესკალაციის სხვადასხვა ეტაპს გადის, რასაც რთული კომბინაციები და კონფლიქტის მიზეზის გადაფარვა განაპირობებს. კონფლიქტი შეიძლება იქამდე დარჩეს ლატენტურ მდგომარეობაში, სანამ ერთ-ერთი მხარე გადადგამს ნაბიჯს, რომელიც სტატუს-კვოს შეცვლის. ხშირად მხარეებმა მანამდე

არ იციან მოსალოდნელი კონფლიქტის შესახებ, სანამ ისეთი რამ არ მოხდება, რაც საზოგადოებას პრობლემის არსებობის შესახებ აცნობებს. მაგალითად, თემებს შეუძლიათ ბედნიერად იცხოვრონ გვერდიგვერდ და საერთო საძოვრებით ისარგებლონ, ვიდრე ამ მიწაზე მინერალურ რესურსს აღმოაჩენენ. შემდეგ დაძაბულობა თანდათან მატულობს.

კონფლიქტი ყველა სოციალურ დონეზე შეიძლება წარმოიქმნას. ეს შეიძლება იყოს ოჯახურ დონეზე (მშობელი, ქორწინება, დედამიწვილები, ბავშვთა მეურვეობა და ოჯახური ძალადობა), რაიონებში, მუნიციპალურ დონეზე, პოლიტიკურ პარტიებს შორის (საკითხების, პროგრამებისა და მანიფესტების გამო), ჯგუფებს შორის ქვეყნის შიგნით და მის საზღვრებს გარეთ.

ამრიგად, კონფლიქტი წარმოიქმნება ურთიერთობების დროს და ნათელია, რომ ამ ურთიერთობების ხასიათი მნიშვნელოვან გავლენას ახდენს კონფლიქტის ტიპის ჩამოყალიბებაზე. თუ მხარეებს ხანგრძლივი ანტაგონისტური და მტრული ისტორია აქვთ, დაპირისპირების გარეშე ორმხრივად დამაკმაყოფილებელი შედეგების მიღწევის პერსპექტივები მცირდება. თუ მხარეებს საკამათო საკითხების კონსტრუქციულად მოგვარების ისტორია აქვთ, მაშინ კონფლიქტის მშვიდობიანად მოგვარების შესაძლებლობა იზრდება. მხარეთა რწმენა და შეხედულებები მნიშვნელოვან როლს ასრულებს კონფლიქტის მიმდინარეობისას.

ის ფაქტი, რომ მხარე რალაცას სიმართლედ მიიჩნევს, ისეთივე მნიშვნელოვანია, როგორც ის, მართლა სამართლიანია ეს რწმენა თუ არა. მაგალითად, როდესაც ერთი ჯგუფი „საგვარეულო მიწაზე“ პრეტენზიას აცხადებს, ხოლო მეორე არ ცნობს ამ პრეტენზიებს, კონფლიქტი სავარაუდოა.

კონფლიქტი გარდაუვალია, როდესაც მხარეები მიზანმიმართულად ახდენენ მათთვის ხელმისაწვდომი ძალაუფლების მობილიზებას. ეს შეიძლება იყოს მთავრობების მიერ შეიარაღებული ძალებისა და მემბოხეების გამოყენება, გაფიცვე-

ბი, პროფკავშირებისა და კორპორაციების ბლოკირება, პატიმრების შიმშილობა და მარგინალიზებული მოქალაქეების დემონსტრაციები. ასევე შესაძლებელია, რომ მხარეებმა ფინანსური შესაძლებლობები გამოიყენონ და საზოგადოებრივი აზრის შეცვლის მიზნით, რეკლამა იყიდონ. სტრატეგიულად გამოიყენონ სოციალური ქსელები და მედია, მიმართონ კოლექტიურ ქმედებებს – მომხმარებელთა ბოიკოტი, მჯდომარე აქციები – მოიპოვონ მხარდაჭერა. თუ ჟურნალისტებს კონფლიქტის შესახებ ინფორმაციის გადაცემის დროს სიტუაციის შეცვლა სურთ, მათ ღრმად უნდა გაიაზრონ მოცემული რეალობა. მართალია, რომ კონფლიქტებს ხშირად მივყავართ ძალადობამდე, მაგრამ ცხადია, რომ კონფრონტაცია აუცილებელი მოცემულობა არაა. ჟურნალისტებს უნდა ესმოდეთ, რომ კონფლიქტი თავის თავში მხოლოდ კონფრონტაციას – გამარჯვებულებსა და დამარცხებულებს არ მოიცავს, კონფლიქტი შესაძლოა მშვიდობიანად, მხარეებისთვის მისაღები შედეგებით დასრულდეს. ჟურნალისტებმა ასევე უნდა გაითვალისწინონ, რომ კონფლიქტის მონაწილე მხარეები ზოგჯერ ვერ აცნობიერებენ, რომ ესკალაციამ შესაძლოა ისეთ დონეს მიაღწიოს, რომ ყველა მონაწილისთვის ზიანის მომტანი და დესტრუქციული აღმოჩნდეს.

რა იწვევს კონფლიქტს?

რასაკვირველია, თუ ჟურნალისტებს კონფლიქტების მოგვარება სურთ, მათ აუცილებლად უნდა შეისწავლონ კონფლიქტის დანყების მიზეზები. შესაძლოა, ჟურნალისტებმა ვერასდროს შეძლონ კონფლიქტის ზუსტი მიზეზების იდენტიფიცირება, მაგრამ შეუძლიათ, კონფლიქტის გამომწვევი ფაქტორების ანალიზის გათვალისწინებით, კარგად გააზრებული ჰიპოთეზები ჩამოაყალიბონ. ჰიპოთეზები ჟურნალისტებს კითხვების სწორად ფორმულირებაში ეხმარება; საშუალებას აძლევს, უფრო ღრმად

გაიაზრონ კონფლიქტის წარმოშობის მიზეზები, რაც ხელს შეუწყობს ჟურნალისტებს, სრულყოფილად გააცნობიერონ მიმდინარე მოვლენები. მნიშვნელოვანია იმის აღიარება, რომ კონფლიქტს არაერთი მიზეზი შეიძლება იწვევდეს, რაც ართულებს სწორი გადანყვეტილების მიღებას. ჟურნალისტები ფხიზლად უნდა იყვნენ, რომ არაფერი გამოჩნეთ.

მიუხედავად იმისა, რომ კონფლიქტები ხშირად განმარტებულია ეთნიკური, რელიგიური, კულტურული ან ეროვნული განსხვავებების გათვალისწინებით, ეს ტერმინები, ზოგიერთი ექსპერტის მოსაზრებით, უბრალოდ რაღაცას არ ამხელს. არსებობს მოსაზრება იმის შესახებ, რომ ადამიანების განსხვავებული ეთნიკური და რელიგიური ტრადიციები არ ხდება კონფლიქტის მიზეზი. კონფლიქტები შეიძლება შეიცავდეს ეთნიკურ თუ რელიგიურ პრობლემებს, მაგრამ ამ კონფლიქტების ძირითადი მიზეზები სხვაგან უნდა ვეძიოთ. მაგალითად, ეს შეიძლება იყოს შეზღუდული რესურსები და მათი განაწილება, სტრუქტურული დისბალანსი, ინფორმაციისა და კომუნიკაციის ნაკლებობა და ა. შ. ხალხი არ ამჟღავნებს სისასტიკეს მხოლოდ იმიტომ, რომ ისინი ერთმანეთისგან განსხვავდებიან. გასაკვირი არ არის, რომ ხელისუფლებაში მყოფთათვის უფრო ადვილია ეთნიკური, კულტურული და რელიგიური განსხვავებების მქონე ადამიანების მობილიზება. სერიოზული კონფლიქტების მნიშვნელოვანი ნაწილი მსოფლიოში ხდება სწორედ იქ, სადაც ეთნიკური და რელიგიური მრავალფეროვნება არსებობს. ადამიანები, რომლებიც იზიარებენ კულტურულ და რელიგიურ ღირებულებებს, უფრო ადვილად ერთიანდებიან, ვიდრე ისინი, ვინც ამ ღირებულებებს არ იზიარებენ. ეს ფაქტი კონფლიქტის მიზეზების ახსნის საკმარის საფუძველს არ იძლევა. კონფლიქტებს ერთი საერთო თვისება აქვს – ისინი წარმოიქმნება განსხვავებული მიზნების საფუძველზე და მიმდინარეობისას, იცვლება მათი ფორმა და ესკალაციის დონე. კონფლიქტის გამომწვევი ყველაზე ფართოდ გავრცელებული ფაქტორებია:

მწირი რესურსები: თუ საზოგადოებას ან ერს არ გააჩნია საკმარისი რესურსი იმისთვის, რომ ყოველი მოქალაქისთვის უზრუნველყოს ცხოვრების საშუალო დონე, მაშინ კონფლიქტი სავარაუდოდ მოსალოდნელია; ჯგუფები და ინდივიდები, ასეთ დროს, ერთმანეთს მწირი რესურსებისთვის ებრძვიან. ეს შეიძლება იყოს მატერიალური რესურსები, ისეთი, როგორიცაა მიწა, ხელმისაწვდომობა წყალსა და სამედიცინო მომსახურებაზე, საკვები, თავშესაფარი, სამუშაო ადგილები და პირადი წინსვლის შესაძლებლობები. ხშირად ასეთი დაპირისპირება წარმოიქმნება იმის გამო, რომ მხარეებს სურთ სხვადასხვა რესურსის გამოყენება. ჟურნალისტიმა უნდა გაითვალისწინოს, რომ მინით სარგებლობის მიზეზით გამოწვეული კონფლიქტი ხშირად კულტურული და ეთნიკური კონფლიქტის სახეს იღებს.

რესურსებთან დაკავშირებული კონფლიქტები შეიძლება კიდევ უფრო გამწვავდეს, როდესაც რესურსების არათანაბარი განაწილება ხდება. ამიტომ, როდესაც ჯგუფები მიიჩნევენ, რომ ისინი სამართლიანად ვერ იღებენ საზოგადოებრივი სიკეთის წილს, კონფლიქტი გარდაუვალია.

ძალაუფლების არათანაბარი განაწილება და სტრუქტურული დისბალანსი: ხშირად კონფლიქტი მაშინ იჩენს თავს, როდესაც რესურსების კონტროლი და მათი გადანაწილება უსამართლოდ ხდება, ან ჯგუფების მიერ უსამართლოდ აღიქმება. უმეტეს შემთხვევებში, ეს კონფლიქტები დაკავშირებულია წარსულში არსებულ გადაუჭრელ პრობლემებთან. ისტორიული გარემოებების გამო, შესაძლოა, დომინანტმა ეთნიკურმა ან რელიგიურმა ჯგუფმა ძალაუფლება გამოიყენოს, რათა პრივილეგირებული პოზიცია მოიპოვოს და შემდეგ თავისი პოზიცია გამოიყენოს, რათა რესურსები არათანაბრად გაანაწილოს და სხვების ხარჯზე სარგებელი მიიღოს. ასეთი სტრუქტურული დისბალანსი ხშირად წარმოიქმნება იმის გამო, რომ თანამედროვე სახელმწიფოების მშენებლობის დროს, ეთნიკური იდენტურობით მა-

ნიპულირება ან მისი უგულებელყოფა ხდება. კონფლიქტები ასევე სავარაუდოა იმ სახელმწიფოებში, სადაც სხვადასხვა უმცირესობა არსებობს და სახელმწიფო უმცირესობის ინტერესებს არ აკმაყოფილებს. პრობლემები შეიძლება წარმოიქმნას, მაგალითად, როდესაც უმცირესობათა ჯგუფი მიიჩნევს, რომ მათ დომინანტური ჯგუფის ენა მოახვიეს თავს.

ადამიანური საჭიროება: ყველა ადამიანს და ადამიანთა ჯგუფს მთელი რიგი ძირითადი ადამიანური საჭიროებები აქვს, რომლებიც უნდა დაკმაყოფილდეს. ესენია ფიზიკური საჭიროებები, როგორცაა: საკვები, ტანსაცმელი და თავშესაფარი, ზიანისგან დაცვა, ასევე, იდენტურობის საჭიროება, თავისუფალი ურთიერთობის საჭიროება ადამიანებთან, რომლებიც იზიარებენ იდეოლოგიურ, პოლიტიკურ და რელიგიურ შეხედულებებს. ღიად, თავისუფლად, მუქარის გარეშე გამოხატვის თავისუფლების საჭიროება. ხშირად ინდივიდის იდენტობა დაკავშირებულია ჯგუფებთან. ინდივიდები ჯგუფის სტრუქტურებს, შეხედულებებს და დამოკიდებულებებს საკუთარი გაფართოებული „მე“-ს ნაწილად მიიჩნევენ. თუ რამე ან ვინმე ემუქრება ჯგუფის იდენტობას, მაშინ ამ ჯგუფის ცალკეული წევრი საფრთხეს პირად საფრთხედ აღიქვამს. ჯგუფის იდენტურობის საჭიროებას შეიძლება სერიოზული შედეგები მოჰყვეს, რადგან ლიდერებს საშუალება ეძლევათ მოახდინონ ხალხის მობილიზება იმ საკითხების გარშემო, რომლებიც გავლენას ახდენენ ჯგუფის იდენტურობაზე.

ადამიანური საჭიროებების დაკმაყოფილების სურვილი იმდენად ძლიერია, რომ როდესაც ჯგუფები ტრადიციული და სოციალურად მისაღები პოლიტიკური პროცესებით ვერ ახერხებენ მათ დაკმაყოფილებას, ისინი საკამათო სტრატეგიას მიმართავენ.

ეს კი იმას ნიშნავს, რომ მათ შეუძლიათ გამოიწვიონ სახელმწიფო, დაარღვიონ კანონები, მიმართონ ძალადობას და ზოგ შემთხვევაში, მკაცრი ტაქტიკა გამოიყენონ. ამ საჭიროებების

უმთავრესი მახასიათებელი ისაა, რომ ისინი ინტეგრირებულია ინდივიდებთან, ჯგუფებში ღრმად აქვს ფესვები გადგმული და არ შეიძლება მოლაპარაკების საგანი გახდეს. ალბათ შესაძლოა საჭიროებების სხვადასხვანაირად მოგვარება, მაგრამ შეუძლებელია მათი კომპრომეტირება. საჭიროებების მიზეზით წარმოქმნილი კონფლიქტების მოგვარებისთვის აუცილებელია პროცესების ისე წარმართვა, რომ დადგინდეს, რომელ საჭიროებებზეა შეთანხმება მიუღწეველი. პრობლემის მოგვარება კრეატიული მიდგომების ძიების გარეშე შეუძლებელია.

ინფორმაცია და კომუნიკაცია: ხშირად კონფლიქტი იმ შემთხვევებში წარმოიქმნება, როდესაც ჩართულ მხარეებს ერთმანეთის შესახებ არასწორი მოსაზრებები და შეხედულებები აქვთ და მათ შორის კომუნიკაცია მცირეა ან საერთოდ არ არის. პრობლემები მძაფრდება, როდესაც დასაბუთებული გადანყვებილების მისაღებად საჭირო ინფორმაციასთან წვდომა შეზღუდულია. ზოგიერთ შემთხვევაში, კომუნიკაციის დაბალი უნარის გამო, შესაძლოა მხარეებს არ ესმოდეთ, თუ რა მოტივები ადგმევენებთ მათ კონკრეტულ ნაბიჯებს. კონფლიქტის მონაწილე მხარეებისთვის დამახასიათებელია ერთმანეთისთვის ინფორმაციის დამალვა იმ იმედით, რომ ეს მათ უპირატესობას მიაჩნდება. ეს პრობლემები შეიძლება უფრო გამწვავდეს, რადგან ხალხი მიდრეკილია, რომ დაამახინჯოს ინფორმაცია და პრობლემასთან დაკავშირებით უკვე არსებულ ინფორმაციას მიუსადაგოს. ეს შეიძლება უკიდურესად რთული აღმოჩნდეს მათთვის, ვინც შერიგებისკენ ნაბიჯების გადადგმას გეგმავს და სურს, რომ მოწინააღმდეგე ბანაკში ესმოდეთ ამის მნიშვნელობა.

ინტერპერსონალური ურთიერთობები: ჯგუფებს შორის კონფლიქტები ზოგჯერ ინტერპერსონალური კონფლიქტების მიზეზით წარმოიქმნება, განსაკუთრებით, პოლიტიკის პერსონალიზაციისა და ჰიპერპერსონალიზაციის დროს. როდესაც საზოგადოების გავლენიან წევრებს შორის კონფლიქტური

სიტუაციაა, ისინი, ოპონენტებზე უპირატესობის მოპოვების მიზნით, თავიანთი მომხრეების მობილიზაციას ახდენენ. ასეთ დროს, მხარდამჭერები მონაწილეობას იღებენ ბრძოლაში, რადგან ისინი ლიდერების პატრონაჟის ქვეშ არიან, მათ გულწრფელ ერთგულებას უცხადებენ. როდესაც კონფლიქტი ამ გზით ვითარდება, საკუთარ დინამიკას იძენს და ხშირად ლიდერის გავლენის სფეროს სცდება. ასეთი კონფლიქტი, თავისი ბუნებით, ძალადობრივია; თან ახლავს ქონების განადგურება, ფიზიკური დაზიანება და სიკვდილი.

გაურკვევლობა: კონფლიქტი ხშირად იჩენს თავს ცვლილებების, გაურკვევლობისა და გარდაქმნის დროს, როდესაც ახალი ნორმები იქმნება და ჯგუფები ერთმანეთთან და წარსულთან ურთიერთქმედების პრობლემას ებრძვიან. გაურკვევლობამ ომის შემდგომ პერიოდში ადვილად შეიძლება კონფლიქტი გამოიწვიოს. ჯგუფებს შორის განსხვავებები ხშირად მაკროდონეზე განიხილება. თუმცა, ჯგუფის წევრებს შორის სიძულვილი და ზიზლი დიდხანს გრძელდება. კონფლიქტები ასევე შეიძლება წარმოიქმნას, როდესაც მეზობლები, რომლებიც მიზნის მისაღწევად ძალის გამოყენებას არიან მიჩვეული, უცბად აღმოაჩენენ, რომ სამოქალაქო სამართალს უნდა დაექვემდებარონ. ამ ადამიანებისთვის უკიდურესად რთულია დემოკრატიულ პროცესებში ჩართვა, რადგან ფიქრობენ, რომ დემოკრატია მათს ინტერესებს არ ემსახურება. გაურკვეველ სიტუაციებთან ბრძოლის ამოცანა მკვეთრად აქტიურდება ქვეყნებში, სადაც ხალხში დიდი რაოდენობით იარაღი ტრიალებს და ძალადობრივი გარდამავალი პროცესი მიმდინარეობს.

მიზნების შეუთავსებლობა: არსებობს ბევრი შემთხვევა, როდესაც მხარეთა მიზნები შეუთავსებელია, ეს კონფლიქტს იწვევს. ინვესტორს შეიძლება მდინარის პირას ჰიდროელექტროსადგურის აშენება სურდეს, ხოლო კონსერვატორებს – მდინარის დაცვა. სახელმწიფო შეიძლება ტბის მტკნარ წყალში თევზჭერის უფლების დიდი კომპანიისთვის გადაცემას გეგ-

მავდეს, ხოლო საზოგადოება ტერიტორიასა და ადგილობრივ მეთევზეებს იცავდეს. კონფრონტაციის მიზეზების ჩამონათვალი უსასრულოა; ისეთი გამოსავლის მოძებნა, რომელიც ყველა მხარეს დააკმაყოფილებს, გამონვევად რჩება. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ არ აქვს მნიშვნელობა, არის თუ არა მხარეების მიზნები მართლაც შეუთავსებელი. ის ფაქტი, რომ მხარეებს ასე მიაჩნიათ, საკმარისი მიზეზია კონფლიქტის არსებობისთვის.

კატეგორიზაცია კარგი დამხმარე საშუალებაა კონფლიქტის გამომწვევი მიზეზების დადგენის დროს. რეალობა გვასწავლის, რომ კონფლიქტები იშვიათად ან არასდროს წარმოიქმნება ერთი ცალკეული მიზეზის გამო.

როგორც წესი, მიუხედავად იმისა, რომ ერთ-ერთი საკითხი დომინანტურია, სხვა ფაქტორები ასევე უწყობს ხელს კონფლიქტის გაღვივებას. მაგალითად: შესაძლოა კონფლიქტი ერთი შეხედვით სტრუქტურული ხასიათის ჩანდეს, რომლის დროსაც ცალკეული ეთნიკური ჯგუფები სხვებთან შედარებით პრივილეგირებულნი არიან; მაგრამ ამავე დროს, თავს იჩენს ადამიანის საჭიროებები, რადგან დისკრიმინირებული ჯგუფი მიიჩნევს, რომ მისი იდენტურობა იგნორირებულია. ასევე ხშირია შემთხვევები, როდესაც კონკურენტი პოლიტიკური ფრაქციები ხელს უწყობენ კონფლიქტის წარმოშობას.

კონფლიქტი და ძალადობა – რა განსხვავებაა?

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ორ დაპირისპირებულ მხარეს შორის კონფლიქტი მცდარად მიიჩნევა ძალადობად. ძალადობა და კონფლიქტი სინონიმები არ არის. ძალადობა კონფლიქტის გამოვლინებაა და მოიცავს ერთ პარტიას (ცალკეულ პირს ან ჯგუფს), რომელიც განზრახ, მეორე მხარის დაზიანების მიზნით, ჩადის გარკვეულ ქმედებებს.

ჟურნალისტების მიერ აშკარად ძალადობრივი ფიზიკური კონფლიქტის იდენტიფიცირება და აღწერა მარტივად ხდება. ძალადობის დროს აუცილებელი არაა ფიზიკური ძალის გამოყენება. არსებობს სხვა სახის ძალადობაც, რომელიც დიდ ზიანს აყენებს საზოგადოებას, მაგალითად, ლტოლვილებისთვის საკვების ან სხვა მატერიალური საქონლის მიწოდების შეწყვეტა. ასევე, ძალადობად მიიჩნევა ნებისმიერი ქმედება, რაც ძირს უთხრის ხალხის თვითიდენტიფიკაციას – ადამიანის უფლებების შელახვა ან სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შეზღუდვა. ამ თვალსაზრისით, სიტყვიერი შეურაცხყოფა და სიძულვილის ენა ასევე ძალადობრივ ქმედებად უნდა განიხილებოდეს, რადგან თავდამსხმელთა მიზანი სხვისთვის ზიანის მიყენებაა.

ამდენად, აშკარად გამოხატული ძალადობის გარდა საზოგადოებაში ბევრი სხვა სახის ძალადობა არსებობს. რეპორტიორებისთვის მათი შემჩნევა და ახსნა უფრო რთულია. ფარული ძალადობის გაშუქება ძალიან მნიშვნელოვანია, რადგანაც ამგვარ ძალადობას აქვს პოტენციალი, გადაიქცეს აშკარა ძალადობად, თუ მის ასალაგმად ნაბიჯები დასაწყისშივე არ გადაიდგა. ასეთი ძალადობის მაგალითებია:

კულტურული ძალადობა წარმოიქმნება იმის მიხედვით, თუ როგორ აღიქვამს ერთი სოციალური ჯგუფი მეორეს. ის შეიძლება შეიცავდეს ლაპარაკის სტილს, ფოტოებს ან შეხედულებებს, რომლებიც აძლიერებს ფიზიკურ ძალადობას და სხვადასხვა ფორმას იღებს:

სიძულვილის ენა: ეთნიკური და კულტურული ჯგუფები ღიად, სიძულვილის ენით საუბრობენ ერთმანეთის შესახებ. ერთი ჯგუფი ბრალს სდებს მეორეს იმ სირთულეებისა თუ პრობლემების წარმოქმნაში, რაც მას აწუხებს. ბრალდებული ჯგუფის გასანადგურებლად ხშირად ნახალისებულია ძალადობა.

- *ქსენოფობია*: რომელიმე ქვეყნის სიძულვილი ან შიში ქმნის მცდარ წარმოდგენას ამ ქვეყნის შესახებ და ხელს უწყობს პოლიტიკას, რომელსაც შედეგად ამ ქვეყანასთან კონფლიქტი მოაქვს.
- *მითები და ლეგენდები ომის გმირებზე*: საზოგადოება, რომლის პოპულარული სიმღერები და ისტორიული წიგნები აიდეალებს ერთი ჯგუფის წარსულ გამარჯვებებს, სიძულვილს აღვივებს მეორე ჯგუფში.
- *ომის რელიგიური გამართლება*: სხვათა შეხედულებების უკიდურესი შეუწყნარებლობა ხელს უწყობს კონფლიქტს.
- *გენდერული დისკრიმინაცია*: ქალების მიმართ იმ კანონებისა და პრაქტიკის გამოყენება, რომელიც მამაკაცების მიმართ არ გამოიყენება, ძალადობის ერთ-ერთი ფორმაა.

სტრუქტურული ძალადობა ბოროტებაა. ის ჯგუფის ან საზოგადოების ტრადიციულ ქცევასა და კანონებს ეფუძნება. საზოგადოება უშვებს ან არადა ადგებს ამ ბოროტებას.

- *ინსტიტუციონალური რასიზმი ან სექსიზმი*: კანონები და პრაქტიკა, რომელიც რასისა თუ სქესის მიხედვით განსხვავებისა და უთანასწორო მოპყრობის საშუალებას იძლევა.
- *კოლონიალიზმი*: ქვეყნის თვითგამორკვევის შესაძლებლობის არარსებობა. უცხო ქვეყნის ხელისუფლება იძულებით აკონტროლებს მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მიღების პროცესებს.
- *უკიდურესი ექსპლუატაცია*: მონობა.
- *სიღარიბე*: კონფლიქტის ყველაზე მეტად გავრცელებული მიზეზი მსოფლიოში.
- *კორუფცია და ნეპოტიზმი*: მთავრობის გადაწყვეტილებებზე გავლენას ახდენს მექრთამეობა, ფავორიტიზმი, ოჯახური ან კლანური კავშირები.

- *სტრუქტურული სეგრეგაცია*: კანონები, რომელიც ხალხს აიძულებს, თავისი სურვილის წინააღმდეგ, ცალკეულ ჯგუფებად იცხოვროს.

ამ ტიპის ძალადობის იდენტიფიცირება ძალზე მნიშვნელოვანია კონფლიქტის გაშუქებისა და ანალიზის დროს. ხშირად სწორედ ასეთი ტიპის ძალადობა ხდება პირდაპირი ფიზიკური დაპირისპირების რეალური მიზეზი. უნდა გავითვალისწინოთ, რომ ფიზიკური ძალადობის შეწყვეტა საკმარისი არ არის, თუ კულტურული და სტრუქტურული ძალადობა იგნორირებულია, რადგან შესაძლოა კვლავ განმეორდეს.

რას ნიშნავს კონფლიქტ-სენსიტიური?

კონფლიქტ-სენსიტიური ნიშნავს:

- გესმოდეთ კონტექსტი, რაც ნიშნავს თქვენი მოქმედების არეალის ყველა სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური დაძაბულობის, ძირეული მიზეზების, კულტურული და ისტორიული ფონის და სტრუქტურული ფაქტორების გაგებას, რადგან მათ აქვთ ძალადობრივი პოტენციალი;
- გესმოდეთ თქვენი ინტერვენციისა და კონტექსტის ურთიერთქმედება;
- იმოქმედეთ ამ ურთიერთქმედების შესაბამისად, რათა აირიდოთ უარყოფითი და მიაღწიოთ მაქსიმალურად დადებით შედეგს.

კონფლიქტის ანალიზი ჟურნალისტებისთვის

იმისთვის, რომ კონფლიქტში მყოფმა მოქალაქეებმა დასაბუთებული გადანწყვეტილებების მიღება და კონფლიქტის მოგვარება შეძლონ, მათ კარგი ჟურნალისტიკა უნდა ჰქონდეთ. ჟურნალისტებს შორის არსებობს მიმდინარე მოვლენებისა და ძალადობრივი კონფლიქტის შესახებ უბრალოდ შიშველი ფაქტების გადმოცემის ტენდენცია. ეს არ არის საკმარისი იმისთვის, რომ მსმენელმა, მკითხველმა და მაყურებელმა გაიგოს რა ხდება სინამდვილეში. თუ ჟურნალისტები მხოლოდ პროფესიონალი მაყურებელნი და ამბების გამავრცელებელნი არიან, მოქალაქეები კონფლიქტს ისე გაიგებენ, როგორც მათ ჟურნალისტები მიაწოდებენ. მაგრამ თუ ახალ ამბებს შიშველი ფაქტების მიღმა მოვძებნით, მოქალაქეებს მეტ ინფორმაციასა და კონფლიქტის გადაჭრის გზებს შევთავაზებთ, მოქალაქეები კონფლიქტს სხვა ქრილში დაინახავენ. თუ ჟურნალისტებს სურთ, რომ მხარეებს კონფლიქტის მოგვარების გზები შესთავაზონ, მათ კარგად უნდა იცოდნენ, როგორ დაიწყო კონფლიქტი, ვინ არიან კონფლიქტის მონაწილეები, არსებობს თუ არა კონფლიქტის მშვიდობიანად დასრულების შესაძლებლობა.

კონფლიქტის გაშუქების დროს ჟურნალისტებმა ისეთი კითხვები უნდა დასვან, რომელიც ხალხს დაეხმარება გაარკვიოს, თუ რა და რატომ ხდება. კონფლიქტების ანალიზისას, ჟურნალისტებს ინფორმაციის მეტი წყაროების იდენტიფიცირება შეუძლიათ; მათ ასევე შეუძლიათ დაადგინონ, თუ რის გაკეთებას ცდილობენ დიპლომატები და მომლაპარაკებლები. კონფლიქტის სხვადასხვა კუთხიდან დანახვა და მისი ანალიზი, იმის გათვალისწინება, თუ რა ზემოქმედებას ახდენს კონფლიქტი ხალხზე და სანდო ინფორმაციის გადაცემა მხარეებს კონფლიქტის უკეთ გააზრებაში ეხმარება. ამრიგად, კონფლიქტის ანალიზი კონფლიქტ-სენსიტიური ჟურნალისტიკის ძირითადი შემადგენელი ნაწილია. კონფლიქტის ანალიზი სხვადასხვა დო-

ნეზეა შესაძლებელი (მაგალითად, ადგილობრივ, რეგიონალურ, ნაციონალურ და ა. შ.). ანალიზის დროს, უნდა დადგინდეს, არსებობს თუ არა ამ დონეებს შორის კავშირი. ასევე მნიშვნელოვანია კონფლიქტის სხვა ურთიერთდაკავშირებულ სისტემებთან უწყვეტი კავშირების დამყარება.

კონფლიქტის ხასიათისა და შემადგენელი ნაწილების ანალიზი ოთხი ძირითადი ელემენტისგან შედგება:

1. **კონფლიქტის ფაქტორები:** როგორც უკვე აღვნიშნეთ, კონფლიქტი მრავალასპექტიან მიზეზებსა და ფაქტორებს ეფუძნება. სხვადასხვა ტიპის მიზეზები ერთმანეთს ფარავს და ურთიერთკავშირშია. არ არსებობს ცალკე მდგომი ერთი რომელიმე ფაქტორი, რომელსაც ძალადობრივ კონფლიქტამდე მივყავართ. მიზეზები და ფაქტორები შეიძლება იყოს სისტემური (სტრუქტურული), პროქსიმალური (საშუალების მიმცემი), პირდაპირი (გამომწვევი). კონფლიქტის ზონაში შიდა და გარე ფაქტორები მოქმედებს.

- *სისტემური მიზეზები:* სტრუქტურული მდგომარეობა: სისტემური დეტერმინანტები მხარეთა მატერიალური მდგომარეობის ობიექტურ ცვლილებებს იწვევს; გარემოს გაუარესება, მოსახლეობის ზრდა, რესურსების სიმცირე და კონკურენცია, კოლონიური ან ცივი ომის მემკვიდრეობა, ფასეულობებისა და ტრადიციების განადგურება, სიღარიბე და ეთნიკური კუთვნილება კონფლიქტის სისტემური მიზეზების მაგალითებია.

კონფლიქტის სისტემური მიზეზები ფართოდ გავრცელებულია და დიდი რაოდენობით ადამიანებს ეხება. სისტემური მიზეზები ნელა ახდენს ზემოქმედებას კონფლიქტის წარმოქმნის შესაძლებლობაზე. საერთაშორისო პროგრამები ან მთავრობის პოლიტიკა, რომელიც მიზნად ისახავს სისტემურ მიზეზებზე მუშაობის გზით კონფლიქტების თა-

ვიდან აცილებას ან მათ შემცირებას, შედეგებს გრძელვადიან პერსპექტივაში იძლევა.

- *პროქსიმალური მიზეზები:* პოლიტიკური და ინსტიტუციონალური ფაქტორები. პროქსიმალური წყაროები სოციალური, პოლიტიკური, საკომუნიკაციო პროცესების და ინსტიტუტების შიგნით არსებული პრობლემაა, რომელიც აძლიერებს საერთო მდგომარეობის ზემოქმედებას ადამიანების ცხოვრებასა და ქცევებზე. პროქსიმალური ფაქტორები განსაზღვრავენ, გამოიწვევენ თუ არა სისტემური პირობები ძალადობრივ რეაქციებს ან მოძებნიან თუ არა კონფლიქტში მონაწილე მხარეები კონფლიქტის მოგვარების უფრო მშვიდობიან გზებს. კავშირი პროქსიმალურ დეტერმინანტებსა და ძალადობრივ კონფლიქტს შორის ადვილი ამოსაცნობია. მთავრობის პოლიტიკა, სოციალური ორგანიზაციები, ეკონომიკური რეფორმის პროგრამები, პოლიტიკური ლიბერელიზაციის პრობლემები, მილიტარიზაცია და საგარეო სამხედრო დახმარება – ეს ყველაფერი შესაძლოა კონფლიქტის პროქსიმალური წყარო იყოს.
- *პირდაპირი მიზეზები:* ძალადობრივი კონფლიქტის უშუალო და პირდაპირი მიზეზები ცალკეულ ძირითად ქმედებებსა და მოვლენებში, ან მათ მოლოდინში უნდა ვეძიოთ. მაგალითად, მთავრობა თავს ესხმის ჩაგრულთა ჯგუფს, რომელიც აჯანყებას გეგმავს. ეს ფაქტორები თვალსაჩინოა და მათი გავლენა ადვილი დასადგენია.
- *გარე და შიდა ფაქტორები:* კონფლიქტის მიზეზის წყარო კიდევ ერთი მნიშვნელოვანი განზომილებაა, რაც გავლენას ახდენს ქვეყნის პოზიციების მთელ სპექტრზე – კონფლიქტიდან მშვიდობიან დასასრულამდე. შიდა და რეგიონალური ფაქტორები, ისევე როგორც მესამე მხარის ეგზოგენური ფაქტორები, ხელს უწყობს დაძაბულობის განმუხტვის მიზნით ძალადობრივი მიდგომების აღმოფხვრას. კონ-

ფლიქტის შიდა და გარე დეტერმინანტები შეიძლება იყოს სისტემური, პროქსიმალური და პირდაპირი.

2. **კონფლიქტის მონაწილეები:** ეხება ყველას, ვინც ჩართულია კონფლიქტში ან დაზარალებულია კონფლიქტის შედეგად. ესენია: კონფლიქტში მონაწილე პირები, ჯგუფები და ინსტიტუციები, რომელზეც კონფლიქტმა დადებითი ან უარყოფითი გავლენა მოახდინა, ასევე, კონფლიქტის მოგვარებაში ჩართული პირები. კონფლიქტის აშკარა და ფარული მონაწილეების იდენტიფიცირების უნარი მნიშვნელოვანია კონფლიქტის რეპორტიორისთვის, რადგან კონფლიქტის მონაწილეების იდენტიფიცირება ეხმარება, რომ გაარკვიოს შემდეგი:
 - მონაწილეების მიერ გაცხადებული ინტერესები;
 - მონაწილეების ფარული გეგმები;
 - მონაწილეების ურთიერთობები და მათი დამოკიდებულება ასეთი ურთიერთკავშირის მიმართ (კავშირები / წინააღმდეგობები);
 - მონაწილეების ხელთ არსებული რესურსები საკუთარი დღის წესრიგის შესასრულებლად (რესურსები);
 - მონაწილეები, რომლებიც კონფლიქტის მოგვარებას მოლაპარაკების გზით ცდილობენ (საჭირო რესურსები).
3. **კონფლიქტის დინამიკა:** კონფლიქტის პროფილს, მონაწილეებსა და მიზეზებს შორის ურთიერთკავშირი.
4. **შესაძლებლობები მშვიდობისთვის:** მონაწილეებს შორის მშვიდობის პოტენციალის დადგენის მიზნით, „სპოილერების“ ან „ინტერესთა ჯგუფების“ (რომლებსაც წვლილი მიუძღვით კონფლიქტის გამყარებაში) საფუძვლიანი ანალიზი. ასეთი ანალიზის ჩატარების დროს აუცილებელია ინფორმაციის დოკუმენტირება; თქვენ მიიღებთ დამატებით ინფორმაციას და ჩაინერთ ინტერვიუებს, რათა გაირკვეს,

რამდენად სრულყოფილი და ობიექტურია თქვენი ანალიზი. იდეა ისაა, რომ განისაზღვროს ობიექტური მიზეზები, რომელიც შესაძლოა, კონფლიქტის მხარეებმა აღიარონ როგორც მშვიდობის ზოგადი საფუძველი.

კონფლიქტის ესკალაციის ეტაპები

კონფლიქტის რეპორტიორისთვის მნიშვნელოვანია კონფლიქტის ეტაპების ცოდნა.

კომუნიკაციის თეორიის პროფესიონალი, მეცნიერი ფრიდრიხ გლასი¹ ესკალაციის ცხრა ეტაპს გამოყოფს. მესამე ეტაპი მედიისთვის მნიშვნელოვანი ეტაპია, რადგან ის კონფლიქტის ორ მხარეს შორის კომუნიკაციის არარსებობის შევსებას გულისხმობს. კონფლიქტის კარგად გაშუქებითა და მიუკერძოებელი ინფორმაციის გადაცემის შედეგად, შესაძლოა კონფლიქტის ორივე მხარემ გაითვალისწინოს ერთმანეთის მოსაზრებები და ამგვარად, შემცირდეს კონფლიქტის შემდგომი ესკალაციის შესაძლებლობა.

1. **გამყარება:** მოსაზრებები პოზიციებში გადადის. კონფლიქტურ სიტუაციებში აღქმა და როლები კონსოლიდირებულია. მიუხედავად ამისა, ორივე მხარეს კვლავ სჯერა, რომ გაუგებრობების აღმოფხვრა სიტყვიერად შესაძლებელია.
2. **პოლარიზაცია, დებატები:** საერთო მიზნები ჯერ კიდევ არსებობს, მაგრამ შეიმჩნევა ინდივიდუალური ინტერესების ზრდა. მოსალოდნელია, რომ პოზიციების დაკარგვას არასასურველი შედეგი მოჰყვეს. თითოეული მხარე ცდილობს, დაადასტუროს თავისი უპირატესობა

¹ Friedrich Glasl: Konfliktmanagement, Vol. 2, Bern/Stuttgart, 2002, p. 216.

მეორესთან შედარებით. ფიქსირდება ქცევის წესები, რომლებიც პირდაპირ პრობლემას არ ეხება. ჯერ კიდევ არსებობს ინტერესი, რომ ცოცხალი კავშირები შეინარჩუნონ, მაგრამ ტაქტიკური მანევრირება მატულობს.

3. **ქმედებები და არა სიტყვები:** ზოგადი წარმოდგენა ეჭვს აღარ იწვევს; ყურადღება ექცევა ნორმიდან გადახრილ საკითხებს. უარყოფილია მეორე მხარის მიერ პასუხის გაცემის უფლება. აღარ იწარმოება დიალოგი. ქმედებები, რომელიც ნორმას არღვევს, საპასუხო რეაქციას იწვევს.
4. **გამოხატულებები და კოალიცია:** მერყევი დამოკიდებულება იცვლება და ფოკუსირდება გამარჯვებაზე; ოპონენტის ნეგატიური იმიჯი აღარ არსებობს, იკვეთება ვილაცის განდიდებული სახე. თვითაღქმას ოპონენტი მხარის მიერ გადადგმული ნაბიჯები მოჰყვება.
5. **სახის დაკარგვა:** ხდება მეორე მხარის საჯარო დეფამაცია საკუთარი პოზიციების გამყარების მიზნით. ჯგუფებს შორის პირდაპირი კონტაქტის დამყარების ნებისმიერი ფორმა შეუძლებელია. ზიზლი მეორე მხარის მიმართ აშკარაა.
6. **სტრატეგია და მუქარა:** კონფლიქტის მხარეებმა უკან დასახევი გზები მოჭრეს. ძალადობრივი ქმედებები მატულობს. მტრის ქმედებები მიიჩნევა აგრესიულად, ხოლო საკუთარ საქციელს საპასუხო რეაქციად წარმოაჩენენ. ირაციონალური ქმედებების რაოდენობა იზრდება. მიზანი ოპოზიციისა და სიტუაციის აბსოლუტური კონტროლია.
7. **შეზღუდული დესტრუქციული დარტყმები:** განზრახვა – დესტრუქციული ქმედებებით მტრის განადგურება საკუთარი არსებობის უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით. ყოველი მხარე მიიჩნევს, რომ მეორე მხარეს შეუძლია ასეთი ქმედებების ჩადენა, ამის თავიდან აც-

ილების მიზნით, ისინი უნდა განადგურდნენ. საკუთარი მიზნის მიღწევა უნდა მოხდეს ნებისმიერ ფასად.

8. **ფრაგმენტაცია:** გამანადგურებელი დარტყმები მოწინააღმდეგის ფრაგმენტებად დაშლის, სიცოცხლის საფუძვლის მოსპობის, მხარდაჭერებისგან იზოლაციის მიზნით ხდება. აგრესიული ქმედებები მატულობს. მიზანი მოწინააღმდეგის ისე გადატეხვაა, რომ საკუთარ არსებობას საფრთხე არ შეექმნას.
9. **ერთად უფსკრულში:** გამოიყენება ძალადობის ნებისმიერი ფორმა, ისეთიც კი, რომელიც თვითგანადგურების საფრთხეს ქმნის. უახლოესი მიზანი მტრის განადგურებაა.

როგორ გვარდება კონფლიქტი?

ჟურნალისტებისათვის მნიშვნელოვანია იმის ცოდნა, რომ კონფლიქტის დასრულების არაერთი გზა არსებობს. ჩაუფიქრდით შემდეგ წარმოსახვით კონფლიქტს: ორ ჯგუფს შორის კონფლიქტი ფორთოხლის გამო მიმდინარეობს. ფორთოხლის ხე ერთი ჯგუფის მიწაზე დგას, მაგრამ ფორთოხლის ხის ნაყოფი სხვა ჯგუფის მიწაზე ჰკიდია. ორივე ჯგუფს სურს ეს ფორთოხალი. ამ კონფლიქტის გადაჭრის, სულ მცირე, ოთხი გზა არსებობს.

1. ერთი მხარის უპირატესობა:

ა) ორი ჯგუფი ძალადობრივად უპირისპირდება ერთმანეთს და ფორთოხალს ძლიერი იგებს. წაგებული გაბრაზებულია და შურისძიება უნდა.

ბ) მოსამართლე ერთი ჯგუფის სასარგებლოდ იღებს გადაწყვეტილებას, მაგრამ შეიძლება მოსამართლე კორუმპირებული, ნელი და ძვირადღირებულია. წაგებული მხარე უკმაყოფილოა.

გ) კომპენსაცია. ერთი ჯგუფი უხდის მეორეს და ინარჩუნებს ფორთოხალს. ეს შესაძლოა ძვირი დაჯდეს.

2. უკან დახევა:

- ა) ერთი ან ორივე ჯგუფი უკან იხევს. კონფლიქტი გადაუჭრელი რჩება, არც ერთი ჯგუფი არის კმაყოფილი.
- ბ) ერთი ჯგუფი ანადგურებს ფორთოხალს ან ვილაცას აძლევს. ფორთოხლის განადგურება შესაძლო ძალადობას მოიცავს. ორივე მხარე კარგავს ფორთოხალს.
- გ) ჯგუფები არ მოქმედებენ. ფორთოხალი ლპება, ის ორივე ჯგუფისთვის დაკარგულია.

3. კომპრომისი. უფრო სასარგებლო გზა:

- ა) მოჭერით ხე, ორივე ჯგუფი მის რალაც ნაწილს მიიღებს.
- ბ) გათალეთ ფორთოხალი, ჯგუფები ფორთოხლის ნაჭრებს სათითაოდ აიღებენ. ახლა ფორთოხალი ისეთ წყაროს წარმოადგენს, რომლის განაწილებაც შესაძლებელია. ალბათ სრულიად თანაბრად არა, მაგრამ ორივე ჯგუფი კმაყოფილია.
- გ) განურეთ ფორთოხალი. ეს ფორთოხლის სხვა სახეა. ის ახლა წყაროა, რომელსაც სხვა ღირებულებები აქვს. ალბათ სრულიად თანაბრად არა, მაგრამ ორივე ჯგუფი კმაყოფილია.

4. ტრანსცენდენტურობა. კონფლიქტის გადაჭრის რეალური გზა:

- ა) მოიზიდეთ ადამიანები, ვინც ფორთოხლის მიმართ ინტერესს გამოხატავს. ჯგუფებს მთლიანი ფორთოხლისთვის ბრძოლის უფლება არ აქვთ. კონფლიქტში ჩართული ჯგუფების მეზობლად მცხოვრები ადამიანები გადანყვეტენ, რომ ფორთოხალი საზოგადოებრივი რესურსია და ორივე მხარეს მოუწოდებენ, კონფლიქტი ძალადობის გარეშე მოაგვარონ.

ბ) მოიპოვეთ კიდეც ერთი ფორთოხალი. საზოგადოების ნევრი ან მეზობელი მიდის ბაზარში და პოულობს ვინმეს, ვისაც აქვს ზედმეტი ფორთოხალი და შეუძლია ორ ჯგუფს გაუნაწილოს და ამით კონფლიქტი განმუხტოს.

გ) ორი ჯგუფი, საზოგადოების გავლენით, თანხმდება, რომ ფორთოხლის ნამცხვარი გამოაცხონ, გაყიდონ ბაზარში და ფული გაინაწილონ. ფორთოხალი ახლა სხვა სახეს იძენს. ის ახლა შემოსავლის წყაროა.

დ) ორი ჯგუფი ფორთოხლის თესლს თესავს. აშენებენ ფორთოხლის პლანტაციას და ერთად ხდებიან უფრო დიდი თემისთვის ფორთოხლის წარმატებული მიმწოდებლები. საუკეთესო გამოსავალი.

ეს არ ნიშნავს იმას, რომ მეზობლები მარშით წავიდნენ და ორ ჯგუფს უკარნახონ, როგორ მოიქცნენ. მაგრამ უფრო ფართო საზოგადოების წინადადებების მოსმენა და მათი გათვალისწინება კონფლიქტის მოგვარების დროს მნიშვნელოვანია.

რა არის ამ ანალიზის მიზანი? ცხადია, რომ კონფლიქტს სხვადასხვაგვარად უნდა შევხედოთ.

- როდესაც კონფლიქტს ხედავენ, როგორც წყაროს, რომლის განაწილებაც შესაძლებელია, ძალადობრივი კონფლიქტი ნაკლებ სავარაუდოა.
- როდესაც ინტერესს უფრო დიდი თემი გამოხატავს, მასზე ძლიერდება ზეწოლა, რომ არ მოხდეს ძალადობრივი მეთოდების გამოყენება.
- როდესაც რამდენიმე ალტერნატიული გზა არსებობს, ძალადობა ნაკლებად გამოიყენება. მეტი ალტერნატივა ნაკლებ კონფლიქტს ნიშნავს. მეტი ალტერნატიული გზის მოპოვების მიზნით, მეტი ხალხი ჩართეთ. ეს იდეების გაზიარებისა და კონფლიქტის სხვაგვარად დანახვის საშუალებას იძლევა. როდესაც ორი მხარე ჩიხშია, საზოგადოების სხვა

წევრები, როგორებიც არიან რელიგიური ლიდერები, საქმიანი საზოგადოება, სამოქალაქო საზოგადოება, მეგობრული მეზობელი ქვეყანა ან საერთაშორისო ორგანიზაციები, წარმოადგენენ სხვადასხვა ხედვას და კონფლიქტის გადაჭრის ალტერნატიულ გზებს.

ჟურნალისტების წვლილი კონფლიქტის გადაჭრასა და მშვიდობის დამყარებაში

კონფლიქტი თავისთავად არ მთავრდება. უთანხმოებისა და კონფლიქტების დასასრულებლად გარკვეული ზომების მიღებაა საჭირო. ზოგიერთი კონფლიქტის მოგვარება დიალოგისა და მშვიდობიანი გზის საშუალებითაა შესაძლებელი, ხოლო სხვა შემთხვევებში ესკალაცია ხდება და კონფლიქტი შეიძლება შეიარაღებულ დაპირისპირებაში გადაიზარდოს.

კონფლიქტის მოგვარების ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი საშუალება კომუნიკაციაა. იმისთვის, რომ ორმა მხარემ მშვიდობიანი გზით მიიღოს გადაწყვეტილება, საჭიროა მხარეებს შორის დიალოგი. ასეთი ტიპის კომუნიკაციას თან სდევს დავისა და კონფლიქტის მშვიდობიანი გზით მოგვარება. სწორედ აქ ვლინდება ჟურნალისტიკის წამყვანი როლი კონფლიქტის მოგვარების საქმეში. ჟურნალისტებმა უნდა დაივიწყონ წყენა, რომელსაც მათ ძველი ელიტა აყენებდა. ისინი უნდა ეცადონ, რომ სხვა მხარეები ჩართონ და ახალი მოსაზრებები მოისმინონ. კონფლიქტის კარგად გაშუქება, მიუკერძოებელი და ზუსტი ინფორმაციის მიწოდება კონფლიქტების შემცირებას უწყობს ხელს.

მედიის როლი კონფლიქტში

აუცილებელია, მედია თავისი რუტინული სამუშაოს შესრულების დროს აცნობიერებდეს, რომ ის შეგნებულად თუ შეუგნებლად ინვესტს კონფლიქტების განეიტრალებას ან პირიქით, დაძაბვას. კონფლიქტის დროს მედია განსაკუთრებულ როლს ასრულებს, რასაც მშვიდობიან გადანწყვეტილებამდე მივყვართ.

- კონფლიქტის წინა ეტაპი: მასობრივი ინფორმაციის საშუალებები აშუქებენ კონფლიქტში მონაწილე მხარეების კონკურენტულ ინტერესებს, რომელმაც შეიძლება კონფლიქტური სიტუაცია გამოიწვიოს, რათა შექმნას ერთიანი საფუძველი მოლაპარაკებების გზით უთანხმოების მოსაგვარებლად და ამდენად, წამოსწიოს მშვიდობიანი ბრძოლის მოთხოვნა.
- კონფლიქტის მიმდინარეობის პერიოდი: ამ ეტაპზე მედია იყენებს ადამიანურ, ეკონომიკურ, სოციალურ და პოლიტიკურ რესურსებს, რითაც აძლიერებს მშვიდობის საჭიროებას.
- პოსტკონფლიქტური მდგომარეობა: მედია თვალყურს ადევნებს მხარეთა შორის მშვიდობიანი შეთანხმებების რეალობად ქცევის პროცესს და უზრუნველყოფს მათ სამართლებრივ განხორციელებას.

ქვემოთ მოყვანილია კონფლიქტის მოგვარების ელემენტები, რაც კარგმა ჟურნალისტმა მხარეებს უნდა მიაწოდოს. ეს მათ გადანწყვეტილების მიღების დროს დაეხმარება:

1. *საკომუნიკაციო სივრცის შევსება*: მედია არის ყველაზე მნიშვნელოვანი საკომუნიკაციო არხი, რომელიც კონფლიქტის დროს მხარეებს შორის არსებობს. ზოგჯერ ერთ-ერთი მხარე მედიის საშუალებით მუქარის შემცველ მესიჯებს ავრცელებს. ზოგ შემთხვევაში კი, მხარეები ერთმანეთს მედიისა და ჟურნალისტების საშუალებით ესაუბრებიან.

2. *ცოდნის გადაცემა*: თითოეულმა მხარემ უნდა იცოდეს, თუ რა უშლის ხელს მეორე მხარეს შერიგებაში. ჟურნალისტიკა იკვლევს თითოეული მხარის განსაკუთრებულ სირთულეებს, როგორცაა მისი პოლიტიკა ან მამოძრავებელი ინტერესები და ხელს უწყობს მეორე მხარეს, კარგად გაიაზროს არსებული მდგომარეობა, რათა თავიდან იქნას აცილებული მარტივი და სწრაფი გადაწყვეტილებების მიღება.
3. *ნდობის გამყარება*: ნდობის ნაკლებობა კონფლიქტის ხელშემწყობი ძირითადი ფაქტორია. მწვავე საკითხების ზედმიწევნით კარგად შესწავლითა და მათი გამოაშკარავებით მედიას ეჭვის გაქარწყლება შეუძლია. შერიგების სხვადასხვა მაგალითის გაშუქებით მედიასაშუალებებს ასევე შეუძლიათ აჩვენონ, რომ გადაწყვეტილების მიღება შესაძლებელია.
4. *მცდარი წარმოდგენების კორექცია*: მედია სწავლობს და აშუქებს ორივე მხარის მცდარ წარმოდგენებს ერთმანეთის შესახებ. ამით ხელს უწყობს მხარეებს, გადახედონ თავიანთ მოსაზრებებს და მეტი ძალისხმევა მოანდომონ კონფლიქტის დასრულებას.
5. *ჰუმანურობისკენ მონოღება*: მეორე მხარის უკეთ გაცნობა და მათდამი პატივისცემის გამოხატვა მნიშვნელოვანი ნაბიჯია. ამიტომაც, მომლაპარაკებლები ორივე მხარეს ერთ ოთახში ათავსებენ. კარგი ჟურნალისტიკა რეალურ ადამიანებს რთავს სიუჟეტში და აღწერს, თუ რა ზეგავლენას ახდენს მათზე ეს საკითხი.
6. *ძირითადი ინტერესების იდენტიფიცირება*: კონფლიქტის დროს აუცილებელია, ორივე მხარემ იცოდეს მეორე მხარის მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვანი ინტერესები. კარგი ჟურნალისტი ხისტ კითხვებს სვამს და ცდილობს ჩანდეს ლიდერების ნათქვამის რეალურ აზრს. ის ასევე ცდილობს ლი-

დერის ინტერესების მიღმა არსებული, უფრო დიდი ჯგუფის ინტერესების გარკვევას.

7. *ემოციის გამობატვის საშუალება*: კონფლიქტის მოგვარების დროს, თითოეულ მხარეს უნდა ჰქონდეს უკმაყოფილების ან აღშფოთების გამობატვის საშუალება. წინააღმდეგ შემთხვევაში, მეტისმეტი დაძაბულობა მათ ემოციურ აფეთქებას გამოიწვევს და საქმე შეიძლება გაუარესდეს. მედიას შეუძლია გამოსავალი გამონახოს და ორივე მხარეს საუბრის საშუალება მისცეს. დავა ხშირად შეიძლება მოგვარდეს არა ქუჩაში ჩხუბით, არამედ მედიის დახმარებით, სანამ ძალადობრივ კონფლიქტში გადაიზრდება.
8. *კონფლიქტის ახლიდან გააზრება*: პრობლემის სხვაგვარად აღწერამ შესაძლოა შეამციროს დაძაბულობა და ბიძგი მისცეს მოლაპარაკების დაწყებას. კარგ ჟურნალისტიკაში რედაქტორები და რეპორტიორები ყოველთვის ცდილობენ, რომ პრობლემა სხვა კუთხით დაინახონ, მოძებნონ ალტერნატიული ხედვა, შეაფასონ ახლებურად, რის შედეგადაც იგივე ამბავი აუდიტორიას ისევ იზიდავს. კარგი ჟურნალისტიკა ორივე მხარეს უბიძგებს, რომ კონფლიქტი ახლიდან გაიზარონ.
9. *რეპუტაციის შენარჩუნება, კონსენსუსის მიღწევა*: როდესაც მხარეები ცდილობენ კონფლიქტის მოგვარებას, მათ თავიანთ მხარდამჭერებს შიში უნდა გაუქარწყლონ. მათი მონათქვამების გაშუქებით მედია საშუალებას აძლევს კონფლიქტში მყოფ ლიდერებს, შეინარჩუნონ რეპუტაცია და კონსენსუსს მიაღწიონ, თუნდაც ამისთვის შორეულ ადგილებში ლტოლვილებთან და დევნილებთან მიმართვა მოუხდეთ.
10. *გადანყვეტილების მიღება*: საბოლოოდ, კონფლიქტში მონაწილე ორივე მხარე, უკმაყოფილებაზე რეაგირების მიზნით,

ყოველდღიურად კონკრეტულ წინადადებებს წარმოადგენს, კარგი რეპორტაჟის დროს მხარეებს კითხვებს უსვამენ მათი გადანყვეტილებების შესახებ და არ აძლევენ საშუალებას, უბრალოდ ჩივილების რიტორიკას დაუბრუნდნენ. კარგი ჟურნალისტიკა არის გადანყვეტილებების ძიების უწყვეტი პროცესი.

11. *ძალაუფლების ბალანსის ნახალისება*: კონფლიქტის მონაწილე ჯგუფებმა, მიუხედავად უთანასწორობისა, უნდა დაიჯერონ, რომ მათ ყურადღება დაეთმობათ, თუ მეორე მხარეს მოსალაპარაკებლად შეხვდებიან. კარგი ჟურნალისტიკა ხელს უწყობს მოლაპარაკებებს, რადგან რეპორტაჟი ობიექტური და დაბალანსებულია. ის ყურადღებას უთმობს ყველა მხარეს; ხელს უწყობს ძალაუფლების დაბალანსებას იმ მიზნით, რომ საჩივრები მოისმინოს და გადანყვეტილებები მოიძებნოს.

მშვიდობიანი ჟურნალისტიკის¹ კონცეფცია

ჟურნალისტები პასუხისმგებელი არიან იმ ხალხის წინაშე, ვისთვისაც და ვის შესახებაც ამბებს აშუქებენ. ზოგი ჟურნალისტის აზრით, ისინი პასუხისმგებელი არ არიან მოვლენებზე, რომელიც ახალი ამბების გადაცემის შემდეგ შეიძლება განვითარდეს – „ჩვენ ისევე ვაშუქებთ კონფლიქტს, როგორც ფეხბურთის მატჩს, ჩვენ უბრალოდ აღწერთ მოვლენებს“. რადგან ჟურნალისტური გამოძიება და კონფლიქტის გაშუქება ჩარევას ნიშნავს, რომელმაც პოზიციების შეცვლა შეიძლება გამოიწვიოს, მშვიდობიანი ჟურნალისტიკა პასუხისმგებლობის წინაშე დგება.

მშვიდობიანი ჟურნალისტიკა არის მიდგომა, რომელსაც ომებისა თუ კონფლიქტების გაშუქების დროს, მათი მშვიდობიანად მოგვარების მიზნით მიმართავენ. ის კონფლიქტის მიზეზების, შედეგებისა და მოტივების საერთო სურათის უკეთ გაგების საშუალებას იძლევა. ამის საპირისპირო შეიძლება იყოს ჟურნალისტების მიერ ისე გადაცემული ამბები, რომელსაც შედეგად კონფლიქტის მონაწილე მხარეებს შორის დაძაბულობის ზრდა და უთანხმოების გაღრმავება მოჰყვება.

ჟურნალისტები არ არიან რობოტები, ნეიტრალური და არაპარტიული პირები. მათ აქვთ თავიანთი ღირებულებები, სუბიექტური აზრი და თავიანთი ქვეყნის, რელიგიისა და ეთნიკური ჯგუფების ღირებულებებს იზიარებენ. სწორედ ამის გამო, პროფესიონალი ჟურნალისტები, საკუთარი შეხედულებების და არაობიექტურობის თავიდან ასარიდებლად, მუშაობენ სარწმუნო-

¹ ტერმინი და კონცეფცია 1970 წელს იოჰან გალტუნმა (ნორვეგიის მშვიდობისა და კონფლიქტების კვლევის დამფუძნებელმა) შექმნა. ის მშვიდობიან ჟურნალისტიკას განიხილავდა, როგორც თვითშეგნებაზე დამყარებულ სამუშაო კონცეფციას იმ ჟურნალისტებისთვის, ვინც ომისა და კონფლიქტების გაშუქებაზე მუშაობს.

ნობის¹, მიუკერძოებლობის² და პასუხისმგებლობის³ დადგენილი სტანდარტით.

თუმცა, მშვიდობის მკვლევრის, იოჰან გალტუნის, აზრით, როდესაც საზოგადოებაში დიდი საფრთხე არსებობს, ახალი ამბების მედია, ჩვეულებრივ, ე. წ. „დაბალ გზას“ ირჩევს –

¹ სწორი ინფორმაციის მიღება ყველაზე მნიშვნელოვანია. გადაცემის დროს ყველაფერი ზუსტად უნდა იყოს აღწერილი – სახელები სწორად უნდა იყოს გამოთქმული, ფაქტები ისე უნდა გადმოიცეს, როგორც მოხდა, ნათქვამის რეალური მნიშვნელობა ნათელი უნდა იყოს, გაშუქების დაწყებამდე კარგი ჟურნალისტი მტკიცებულებებსა და ზუსტ ფაქტებს ეძებს. კარგმა ჟურნალისტმა უნდა იჩქაროს ინფორმაციის მოპოვება, მაგრამ, პირველ ყოვლისა, ჟურნალისტმა ეს უფლება უნდა მიიღოს. ხალხი არ ელაპარაკება ჟურნალისტებს, თუ ისინი შიშობენ, რომ ჟურნალისტები ზუსტად ვერ გაიმეორებენ მათს ნათქვამს და ისე არ აღწერენ მოვლენებს, როგორც სინამდვილეში მოხდა.

² მიუკერძოებლობა (ბალანსი): ჟურნალისტიკის თითქმის ყველა კოდში დევს მიუკერძოებლობა. კარგი ჟურნალისტი დაბალანსებული რეპორტაჟის გაკეთებას ცდილობს. ბალანსი ორივე მხარის ჩართვას გულისხმობს. კონფლიქტში ყოველთვის ორი მხარეა. მოქალაქეებს სჭირდებათ იმის ცოდნა, თუ რას ამბობს ესა თუ ის მხარე და რამდენად შეეხება ეს მათ. ბალანსი ისეთივე მნიშვნელოვანია, როგორც სარწმუნოება. ხალხი არ ენდობა ჟურნალისტს, რომელიც მხოლოდ ერთ მხარეს აშუქებს. მიუკერძოებლობა ნიშნავს, რომ ჟურნალისტი არ არის რომელიმე პოლიტიკური პარტიის ან მოძრაობის აქტიური ლიდერი. კონფლიქტის დროს მიუკერძოებელი ჟურნალისტიკა ჟურნალისტს მნიშვნელოვნად იცავს. ჟურნალისტები, რომლებიც რომელიმე მხარის მხარდამჭერები არ არიან, პატივისცემას იმსახურებენ.

³ ჟურნალისტები ვალდებული არიან ხალხის წინაშე, რომელსაც ისინი აშუქებენ და საზოგადოების წინაშე, რომლისთვისაც ისინი მოვლენებს აშუქებენ. ჟურნალისტები პასუხისმგებელი არიან, დაიცვან თავიანთი წყარო. ბევრი ადამიანი არ მიაწოდებს ჟურნალისტს მნიშვნელოვან ინფორმაციას, თუ შიშობენ, რომ მათს ვინაობას გაამხელენ. კარგი ჟურნალისტი პატიოსანი მეთოდებით ცდილობს ინფორმაციის მოპოვებას, რაც ნიშნავს, რომ ისინი კანონს არ არღვევენ.

გადმოსცემენ ომის მიმდინარეობას, აშუქებენ ომის მწარმოებელ ელიტას, აფიქსირებენ მოგება-წაგების შედეგებს, ისე აუბრალოებენ სიტუაციას, რომ თითქოს მონაწილე მხარეები სპორტულ არენაზე იბრძოდნენ გამარჯვებისთვის.

ომის გაშუქებაზე სამხედრო მეთაურის ფაქტორი ახდენს გავლენას: ახალი ამბები შეეხება იმას, თუ რომელი მხარე აღწევს წარმატებას, რომელი აცხადებს კაპიტულაციას; დანაკარგების შესახებ გამოიყენება ტერმინები ადამიანური მსხვერპლი და მატერიალური ზარალი.

გალტუნი ჟურნალისტებს ალტერნატიულ გზას სთავაზობს: მშვიდობიანი ჟურნალისტიკის „მაღალი გზა“, რომელიც ფოკუსირებულია კონფლიქტის ტრანსფორმაციაზე. ქვემოთ მოცემულია ცხრილი:

გალტუნის ცხრილი ჟურნალისტიკის დაბალი გზის/მაღალი გზის შესახებ:¹

ომის/ძალადობის ჟურნალისტიკა	მშვიდობის/კონფლიქტ-სენსიტიური ჟურნალისტიკა
I. ომზე/ძალადობაზე ორიენტირებული	I. მშვიდობაზე/კონფლიქტზე ორიენტირებული
ფოკუსირება კონფლიქტის არენაზე, 2 მხარე – 1 მიზანი (გამარჯვება), ომი, „ნულოვანი თანხაზე“ ორიენტირებული	იკვლევს კონფლიქტის წარმოშობას, x მხარეებს, Y მიზნებს, z საკითხებს, ორიენტირებულია ყველა მხარის მოგებაზე

¹ Track Two: Constructive Approaches to Community and Political Conflict, Volume 7, Issue 4, Dec., 1998.

ჩაკეტილი სივრცე და დრო, მიზეზები და გასასვლელი არენაზე, „ვინ ისროლა პირველი ქვა?“	ღიასივრცე და დრო, მიზეზები და შედეგები ყველგან, ასევე ისტორიაში / კულტურაში
ომის პროცესი გაუმჭვირვალე და გასაიდუმლოებულია	კონფლიქტის პროცესი გამჭვირვალეა
„ჩემია-შენიას“ ჟურნალისტიკა: პროპაგანდა, თქვენი ხმა ჩვენია	ხმა ყველა მხარეს, თანაგრძნობა, გაგება
ხედავს „მათ“, რადგან პრობლემა ფოკუსირებულია ნარმატებულზე	ხედავს კონფლიქტს/ომს როგორც პრობლემას, ფოკუსირებულია კონფლიქტის მიმართ კრეატიულ მიდგომაზე
„მათი“ დეჰუმანიზაცია, მეტი ძალა აქვს ვიდრე იარაღს	ყველა მხარის ჰუმანიზაცია, მეტი ძალა აქვს, ვიდრე იარაღს
რეაქტიური: უცდის, რომ მოხდეს ძალადობა, მერე აშუქებს	პროაქტიური: პრევენცია, ვიდრე ძალადობა/ომი დაიწყება
ფოკუსირებულია მხოლოდ ხილულ შედეგებზე (მოკლულთა და დაჭრილთა რაოდენობა, მატერიალური ზარალი)	ფოკუსირებულია ძალადობის უხილავ შედეგებზე (ტრავმა და სახელის მოხვეჭა – სტრუქტურული/კულტურული ზარალი)
II. პროპაგანდაზე ორიენტირებული	II. სიმართლეზე ორიენტირებული
აშუქებს „მათს“ ტყუილს	აშუქებს ყველა მხარის ტყუილს
ეხმარება „ჩვენი“ ტყუილების დაფარვას	ფარდას ხდის ყველას ტყუილს

III. ელიტაზე ორიენტირებული	III. ხალხზე ორიენტირებული
ფოკუსირებულია „ჩვენს“ სა- ტკივარზე, ელიტის გამორჩე- ული მამაკაცები მათი აზრის გამომხატველი არიან	ფოკუსირებულია ყველას სა- ტკივარზე – ქალების, მო- ხუცების, ბავშვების; აძლევენ გამოხატვის საშუალებას მათ, ვისი ხმაც არ ისმის
ასახელებს „მათს“ დამნაშავე- ებს	ასახელებს ყველა დამნაშავეს
ფოკუსირებულია ელიტარულ მშვიდობისმყოფელებზე.	ფოკუსირებულია სახალხო მშვიდობისმყოფელებზე
IV. გამარჯვებაზე ორიენტი- რებული	IV. გადანყვებილებაზე ორი- ენტირებული
მშვიდობა = გამარჯვება + ცეცხლის შეწყვეტა	მშვიდობა = არაძალადობრივი + კრეატიული
ფარავს სამშვიდობო ინიცია- ტივებს, სანამ გამარჯვებას მიაღწევს	წინა პლანზე სწევს სამშვიდო- ბო ინიციატივებს, რომ ომის გაგრძელება აიცილოს
ფოკუსირებულია ხელშეკრუ- ლებებზე, ინსტიტუციებზე, კონტროლირებად საზოგა- დობაზე	ფოკუსირებულია სტრუქტუ- რებზე, კულტურაზე – მშვი- დობიან საზოგადოებაზე
შედეგი: მიემართება სხვა ომისკენ, ბრუნდება, თუ „ძვე- ლი ომი“ ისევ იფეთქებს	შედეგი: რეზოლუცია, რეკონ- სტრუქცია, შერიგება

სამშვიდოო სია და კონფლიქტ-სენსიტიური ქურნალისტიკა

- ნუ წარმოადგენთ კონფლიქტს როგორც ორ მხარეს შორის შეტაკებას, რომელსაც ერთი მიზანი აქვს და ლოგიკურად შედეგი ერთი მხარის მოგება და მეორეს წაგებაა. ნაცვლად ამისა, გამოკითხეთ გაფიცვის შედეგად დაზარალებული ვაჭრები, მუშები, რომელთაც არ აქვთ მუშაობის საშუალება, სოფელში მცხოვრები ლტოლვილები, რომელთაც სურთ ძალადობა შეაჩერონ და ა. შ. ჩართეთ მათი ამბავი, შეხედულებები და მიზნები. ეს ხელს შეუწყობს ფართო სპექტრის შედეგებისთვის მეტი სივრცის შექმნას.
- მკვეთრად არ გამიჯნოთ ერთმანეთისგან „ჩვენ“ და „ისინი“.
- კონფლიქტის განსაზღვრის დროს, მოერიდეთ ლიდერების გამონათქვამების გამოყენებას. გააშუქეთ ჩვეულებრივი ადამიანების მოსაზრებები, რომლებიც უმრავლესობისთვის მისაღებ აზრს ახმოვანებენ.
- მოერიდეთ კონფლიქტის დაკავშირებას ძალადობასთან, რომელიც კონკრეტულ ადგილას და კონკრეტულ დროში ხდება. ნაცვლად ამისა, ისაუბრეთ ურთიერთობებზე და შედეგებზე, რომელიც შეიძლება ყველგან მოხდეს ახლა ან მომავალში.
- მოერიდეთ ძალადობისა და ძალადობრივი პოლიტიკის ვიზუალური შედეგების მიხედვით შეფასებას. გამონახეთ გზები, რომ ინფორმაცია უხილავ შედეგებთან დაკავშირებით მიანოდოთ. მაგალითად, ნებისმიერი ზარალის და ფსიქოლოგიური ტრავმის ხანგრძლივმოქმედი შედეგები.
- მოერიდეთ მხოლოდ იმის გაშუქებას, თუ რა განასხვავებთ კონფლიქტის მხარეებს. დაუსვით მათ კითხვები და გამოავლინეთ საერთო შეხედულებები. გააშუქეთ ინტერესები და მიზნები, რომელიც ორივე მხარემ შეიძლება გაიზიაროს.

- მოერიდეთ მხოლოდ ერთი მხარის ტკივილისა და შიშის გაშუქებას. ყველა მხარის ტკივილს მიუდევით ერთნაირად და გააშუქეთ თანაბრად.
- მოერიდეთ ისეთი სიტყვების გამოყენებას, როგორცაა ტრაგედია, განადგურება, ტერორიზმი, უძლური, უსაშველო და ა. შ., როდესაც აშუქებთ, თუ რა გადახდა თავს ერთ ჯგუფს. ასეთი სიტყვების გამოყენება რეპორტიორს ერთ მხარეს აყენებს. ნუ ჰკითხავთ ხალხს, როგორ გრძნობენ თავს, ჰკითხეთ, როგორ უმკლავდებიან სიტუაციას და რას ფიქრობენ. იქნებ პრობლემის მოგვარების გზებს გთავაზობენ?
- მოერიდეთ სხვების დადანაშაულებას იმაში, რომ „პირველად მათ დაიწყეს“. ნაცვლად ამისა, სცადეთ გამოარკვიოთ, თუ როგორ მიგყავართ საერთო პრობლემებს ისეთ შედეგებამდე, როგორსაც არც ერთი მხარე მოელოდა.
- მოერიდეთ ძალადობის გაშუქებისას „საშინელების“ აღწერას. ძალადობის უკეთ დასანახად გააშუქეთ, როგორ არის ხალხი შეზღუდული, იმედგაცრუებული ან შეურაცხყოფილი. აღწერეთ ადამიანების დამცირებული ყოფა.
- მოერიდეთ ემოციური ორაზროვანი სიტყვების გამოყენებას. პოლიტიკური მკვლელობა (Assassination) არის მხოლოდ სახელმწიფოს მეთაურის მკვლელობა. მასობრივი ხოცვა-ჟლეტა (Massacre) არის უდანაშაულო, შეუიარაღებელი მოქალაქეების დახოცვა. ჯარისკაცების და პოლიციელების მკვლელობას არ განმარტავენ სიტყვებით „მასობრივი ხოცვა-ჟლეტა“. გენოციდი (Genocide) მთელი ერის ამოხოცვას ნიშნავს. ნუ შეარბილებთ ტკივილს, მაგრამ ფრთხილად გამოიყენეთ სხვადასხვა სიტყვა.
- მოერიდეთ დემონიზაციასა და იარღიყების მიწებებას სიტყვებით: ტერორისტი, ექსტრემისტი, ფანატიკოსი, ფუნდამენტალისტი. სიტყვები ერთ-ერთ მხარეს იჭერენ და მეორე მხარესთან მოლაპარაკებას შეუძლებელს ხდის. ისე მოიხსენ

ნიეთ ხალხი, როგორც თავად უწოდებენ თავის თავს; მათი აღწერის დროს სიზუსტე გამოიჩინეთ.

- მოერიდეთ ისეთი ზედსართავების გამოყენებას როგორცაა: ბოროტი, სასტიკი, მხეცური, ბარბაროსული. ნაცვლად ამისა, უნდა გააშუქოთ ის, რაც იცით არასათანადო ქცევის შესახებ; გამოიყენეთ ამ ქცევის აღწერა სხვა ხალხის მიერ; რაც შეიძლება მეტი ინფორმაცია მიანოდეთ ინფორმაციის უტყუარობის შესახებ.
- მოერიდეთ მოსაზრების ფაქტად წარმოჩენას. თუ ვინმე განაცხადს აკეთებს, დაასახელეთ მისი ვინაობა, რათა ხაზი გაესვას, რომ ეს მისი მოსაზრებაა და არა თქვენ მიერ მოყვანილი ფაქტი.
- მოერიდეთ მხოლოდ ერთი მხარის მიერ ადამიანთა უფლებების დარღვევების, შეტაკებებისა და არასათანადო საქციელის გაშუქებას. ჩამოთვალეთ ყველა, ვინც არასათანადოდ იქცევა; კონფლიქტის მონაწილეების ყველა ბრალდება განიხილეთ ერთნაირი სერიოზულობით.
- ნუ დაელოდებით ერთი მხარის ლიდერებს, რომ გამოსავალი შემოგთავაზონ. განიხილეთ ყველა სამშვიდობო იდეა, საიდანაც უნდა მოდიოდეს. მიანოდეთ ეს იდეები ლიდერებს და შემდეგ მათი პასუხები გააშუქეთ.
- მოერიდეთ ნებისმიერი იდეის დასაბუთებულ ფაქტად წარმოჩენას. მიიტანეთ მკითხველამდე ან აუდიტორიამდე ყველაფერი, რაც ითქმევა.
- ნუ მიესალმებით ლიდერების მიერ სამხედრო გამარჯვების ან ცეცხლის შეწყვეტის დოკუმენტებზე ხელის მოწერას ისე, თითქოს ამ ნაბიჯს უცილობლად მივყავდეთ მშვიდობამდე. ეცადეთ გააშუქოთ საკითხები, რომელიც გადაუჭრელი დარჩა და რომელმაც კვლავ შეიძლება ძალადობამდე მიგვიყვანოს.

- მოერიდეთ ლიდერების მიერ წარმოდგენილი „ჩვენი მხარის“ გადანყვეტილების გაშუქებას. გაითვალისწინეთ და შეამოწმეთ სამშვიდობო ინიციატივები, საიდანაც უნდა იყოს.
- ყოველთვის დაუსვით კითხვა თქვენს თავს: არის რასობრივი, რელიგიური და კასტებთან დაკავშირებული საკითხები მნიშვნელოვანი თქვენს რეპორტაჟში? თუ არა, ამოიღეთ ისინი.
- არის ეს აუცილებელი ახალი ამბავი? ინვესს ის საჯარო ინტერესს? რითია საინტერესო ეს ინფორმაცია? მხოლოდ იმით, რომ მეორე მხარეს ეხება?
- თუნდაც ნამდვილი იყოს ეს ფაქტები, შეუწყობს ის ხელს უარყოფითი განწყობის შექმნას? შეიძლება მათი სხვადასხვაგვარად გადმოცემა?
- ისმის თუ არა განსხვავებული ხმები თქვენს რეპორტაჟში? საკმარისია ჩვეულებრივი ხალხისა და ექსპერტების განსხვავებული მოსაზრებები?
- გამოიყენეთ თუ არა შეურაცხმყოფელი სიტყვები და კომენტარები, რომელსაც უარყოფითი განწყობის შექმნა შეუძლია? დაბალანსებულია ეს კომენტარები სხვა კომენტარებით?
- კრიმინალური ამბების გაშუქების დროს, ვსაუბრობთ დამნაშავესა და მსხვერპლის რასობრივი და კულტურული კუთვნილების შესახებ? არის ეს საკითხები საჯარო ინტერესის საგანი? რატომ?

ჩვენთვის, ჟურნალისტებისთვის, სიტყვები მძლავრი ინსტრუმენტია. ასევეა ფოტოები და ხმები. ეს ინსტრუმენტები შეგვიძლია თანხმობის მისაღწევად გამოვიყენოთ და არა შიშის დასათესად და მითების შესაქმნელად.

კონფლიქტ-სენსიტიური ჟურნალისტიკის მავალითვაბი

ტრადიციული გაშუქება

ქალაქი ლოიო – ლოიოს პრემიერ-მინისტრმა დაგმო ბუზუს ტერორისტების მიერ ლოიოში ყუმბარის აფეთქება, რომლის დროსაც გუშინ ათი ტურისტი დაიღუპა. პრემიერ-მინისტრმა განაცხადა, რომ მან სპეციალური რაზმი შექმნა, რომელიც მიაკვლევს და დააპატიმრებს მასობრივ ხოცვა-ჟლეტვაში მონაწილე დამნაშავეებს. პოლიცია აცხადებს, რომ აფეთქება მაშინ მოხდა, როცა სიკვდილის რაზმის წევრებმა ბუზუდან, ქალაქის მოედანზე, მოგზაურობათა ბიუროში დიდი ყუმბარა შეიტანეს. ყუმბარა ალბათ ჩემოდანში იდო, – თქვა პოლიციის კაპიტანმა ჯო ჩეტერბოქსმა. დილას ბუზუს ტერორისტ-პარტიზანულმა ფრონტმა უარყო ყუმბარის ჩადება. მაგრამ სამთავრობო წყაროები იუწყებიან, რომ არსებობენ თვითმხილველები, რომლებმაც გუშინ ქალაქის მოედანზე ბუზუს ფრონტის ლიდერი ტამ გრეი დაინახეს. მიიჩნევენ, რომ შეტაკებას მან გაუწია კოორდინაცია.

კონფლიქტ-სენსიტიური გაშუქება

ქალაქი ლოიო – საიდუმლოებით მოცული აფეთქება, რომლის დროსაც ათი ტურისტი დაიღუპა, მოაწყო ბუზუს სეპარატისტულმა ჯგუფმა, – განაცხადა გუშინ ლოიოს პრემიერ-მინისტრმა. პოლიციის გამომძიებლები ჯერ კიდევ განაგრძობენ დანგრეული ქალაქის მოედნის ინსპექციას, სადაც გუშინ აფეთქება მოხდა, როდესაც ტურისტები მოგზაურობათა ბიუროსთან ავტობუსიდან გადმოდიოდნენ. პრემიერ-მინისტრმა აფეთქებაში ბუზუს თვითმარქვია ფრონტი დაადანაშაულა, რომელიც სამთავრობო ძალებს სოფლებში ებრძვის და რესპუბლიკურ მმართველობას მოითხოვს. სატელეფონო საუბარში ბუზუს ფრონტის ლიდერმა უარყო აფეთქებასთან კავშირი და მას ტრაგედია უწოდა. ტურისტული ავტობუსი ცოტა ხნის წინ მე-

ზობელი ქვეყნიდან, ბაბატუდან ჩამოვიდა, სადაც სამოქალაქო ომი მიმდინარეობს...

ხედავთ განსხვავებას?

ტრადიციული გაშუქება

- ახალი ამბავი სავსეა დაუსაბუთებელი ბრალდებებით. ის მხარს უჭერს პრემიერ-მინისტრს. ამბობს, რომ თავდამსხმელები იყვნენ ბუზუელი ტერორისტები. საიდან იცის?
- გამოიყენება ემოციური ლექსიკა: ხოცვა-ჟლეტა, ტერორისტები, სიკვდილის რაზმი.
- დასაბუთების გარეშე გადმოსცემს პოლიციის კაპიტნის განაცხადს. უსახელო სამთავრობო ძალები ამბობენ, რომ უსახელო ადამიანებმა ბუზუს ლიდერი დაინახეს და მას ადანაშაულებენ. არ არსებობს დამამტკიცებელი საბუთი.

კონფლიქტ-სენსიტიური გაშუქება

- აშუქებს მხოლოდ იმას, რაც ცნობილია. ყუმბარა სიდუმლოებით მოცულია. სიტყვებს ფრთხილად იყენებს. ამბობს, რომ პრემიერ-მინისტრმა განაცხადა. მან დაადანაშაულა ბუზუელი სეპარატისტები.
- ის მოიხსენიებს სეპარატისტებს ისე, როგორც ისინი თვითონ უწოდებენ თავის თავს. ის ეძებს ორივე მხარის განმარტებასა და კომენტარებს.
- არ იყენებს ისეთ ემოციურ სიტყვებს, როგორცაა მასობრივი ხოცვა-ჟლეტა. არ აშუქებს პოლიციის სპეკულაციებსა და განაცხადებს, რომელიც არ ასახელებს მონემების სახელებს.
- ავლენს მეტი განმარტების შესაძლებლობას. ყუმბარა შესაძლოა იყო ავტობუსში, რომელიც შემოვიდა ქვეყნიდან, სადაც კონფლიქტი მიმდინარეობს.

ტრადიციული გაშუქება

ქალაქი ვუდი – სამშვიდობო მოლაპარაკებები, რომელიც მიზნად ისახავდა უანდერლენდის კონფლიქტის დასრულებას, გასულ ღამეს წყალში ჩაიყარა, როდესაც ვარდისფერპერანგიანი მეამბოხეების მიერ პოლიციის წინააღმდეგ მოწყობილი მასობრივი ხოცვა-ჟლეტის დროს ცხრა პოლიციელი მოკლეს და მათი ცხედრები დაასახიჩრეს. სასტიკი დანაშაული მოხდა მთის სოფელ უანდერლენდში, სადაც საპატრულო პოლიციას ტყვიამფრქვევებითა და რეაქტიული გრანატებით შეუტიეს. დაჭრილია კიდევ ექვსი კაცი, განადგურებულია სამი ერთეული სატრანსპორტო საშუალება. ცხედრები დანით დაასახიჩრეს; ერთ-ერთ მსხვერპლს თავი გაუჭეჭყეს. მიიჩნევენ, რომ თავდასხმა ვუდლენდის გორების მახლობლად გამაგრებული ეროვნულ-განმათავისუფლებელი არმიის ტერორისტების ნამოქმედარია. ეროვნულ განმათავისუფლებელი არმიის ლიდერმა ჯონ სიქსპეკმა თქვა, რომ მისი ხალხი შესაძლოა ისროდა „თავდაცვის მიზნით“...

კონფლიქტ-სენსიტიური გაშუქება

ქალაქი ვუდი – უანდერლენდის მთელმა პოლიტიკურმა სპექტრმა აღშფოთება გამოხატა საპატრულო პოლიციის ცხრა თანამშრომლის დაღუპვის გამო. ორივე მთავარმა პარტიამ, რომელიც ქვეყნის უმცირესობას – „ვარდისფერპერანგიანებს“ წარმოადგენს, დისტანცირება მოახდინა მკვლევლობისგან, რომელსაც თვითმარქვია ეროვნულ-განმათავისუფლებელი არმიის ნამოქმედარად მიიჩნევენ. ეროვნულ-განმათავისუფლებელი არმიის ლიდერმა უარყო საპატრულო პოლიციაზე თავდასხმა და აღნიშნა, რომ მისი ხალხი შესაძლოა „თავდაცვის მიზნით“ ისროდა. მაგრამ უანდერლენდის მთავრობამ განაცხადა, რომ მათ არაფერი გაუკეთებიათ, რათა ტყვიამფრქვევებითა და რეაქტიული გრანატებით თავდასხმა გამოენვიათ, რომლის შე-

დეგადაც სამი სატვიროთო მანქანა განადგურდა. სპიკერმა დაამატა, რომ ცხედრები, როგორც ჩანს, დანით იყვნენ დაჭრილი და ერთი კაცის თავი ჩაფლული იყო...

ხედავთ განსხვავებას?

ტრადიციული გაშუქება

- ცუდი ახალი ამბავია, ძალადობრივი; ის არ ცდილობს სხვა მხარეების მოსაზრებების მოძიებას; აცხადებს ყველაზე უარესს: „სამშვიდობო მოლაპარაკებები წყალში ჩაიყარა“.
- იყენებს ემოციურ და არასაჭირო სიტყვებს: მასობრივი ხოცვა-ჟლეტა, დასახიჩრება, სისასტიკე. სიტყვებით: „დასახიჩრებული ცხედრები“ ხაზს უსვამს ძალადობას.
- ტრადიციული გაშუქება მხარეს იჭერს: მოვლენას აღწერს არმიის სპიკერის თვალთახედვიდან გამომდინარე. ის ამბობს, რომ საპატრულო პოლიციას თავს დაესხნენ.

კონფლიქტ-სენსიტიური გაშუქება

- გაშუქებულია უფრო მეტი, ვიდრე ძალადობა, ხალხი, რომელიც გმობს ძალადობას.
- ახალი ამბები დაბალანსებულია: ეროვნულ-განმათავისუფლებელი არმიის ლიდერი უარყოფს, რომ შეტევა მათ განახორციელეს, მაგრამ იქვე ამბობს, რომ მისი ხალხი იბრძოდა.
- მეორე მხარეს მოიხსენიებს ისე, როგორ ის თავისთავს უწოდებს – ეროვნულ-განმათავისუფლებელი არმია.
- ძალადობა არ იმალება, არ ხდება მისი იგნორირება, მაგრამ ის მონოდებულია როგორც განაცხადი და არა როგორც ფაქტი.

ტრადიციული გაშუქება

ქალაქი ლოიო – სამშაბათს, საღამოს ქალაქის ეთნიკურ ბანდებს შორის გამართულმა ახალმა ბრძოლამ შვიდი ახალგაზრდის სიკვდილი და სანყობის დანგრევა გამოიწვია. ლოიოს და აპუს დაპირისპირებულ ბანდებს შორის შეტაკების დროს, დაახლოებით 20 წუთის განმავლობაში, ერთმანეთს ენაცვლებოდა ავტომატის ჯერი და მოლოტოვის კოქტიელი, რასაც ერთმა პოლიციელმა „ეთნიკური სროლა“ უწოდა. როგორც ერთ-ერთმა მცხოვრებმა თქვა, ახალგაზრდა კაცმა, რომელიც აპუს მკვიდრი იყო, წამოიყვინა: „ყველას დაგზოცავთ“ და თვითნაკეთი ყუმბარა ლოიოელი ახალგაზრდებით სავსე მანქანისკენ ისროლა. მანქანა სანყობის გარეთ იდგა. ის ლოიოელმა ახალგაზრდამ მოკლა, რომელიც სანყობის ფანჯრიდან ისროდა, – თქვა მეორე მცხოვრებმა. დაინახეს, როგორ ესროდნენ აპუს ბანდის სხვა წევრები ყუმბარებს სანყობის ფანჯრებს. შენობა ცეცხლმა დაანგრია. ორი ბანდა ეთნიკურ ომში რამდენიმე კვირის განმავლობაში იყო ჩართული. პოლიციის ოფიციალური წარმომადგენლები ამბობენ...

კონფლიქტ-სენსიტიური გაშუქება

ქალაქი ლოიო – სამშაბათს ღამით, ქალაქის ცენტრში, ნარკოტიკების უკანონოდ ვაჭრობა ნარკომოვაჭრეების ორ ჯგუფს შორის შეიარაღებული შეტაკების მიზეზი გახდა. სროლაში, რომლის შედეგადაც შვიდი ადამიანი დაიღუპა, დაპირისპირებული ნარკოდილერების მიერ თავმოყრილი ახალგაზრდები მონაწილეობდნენ, რომლებიც, მოსახლეობის აზრით, ტერიტორიის გაკონტროლებას ცდილობდნენ. ოთხი გარდაცვლილი ახალგაზრდა ლოიოს მკვიდრი იყო. ისინი სანყობის დასაცავად იყვნენ დაქირავებული. ადგილობრივი მცხოვრებლების აზრით, სანყობი ნარკოტიკების დისტრიბუციის ცენტრად იყო ქცეული, თქვა დასავლეთის მოქალაქეთა ასოციაციის თავჯდომარემ

ჯეინ გრინმა. სხვა ნარკოდოზებმა, რომლებიც აღმოსავლეთ მხარის გაკონტროლებას ცდილობდნენ, იქირავეს და თოფებით შეაიარაღეს აპუს მკვიდრი უმუშევარი ახალგაზრდები, თქვა ქნ. ბრაუნმა. „პოლიციამ უარი თქვა ნარკოვაჭრობასთან შებძოლებაზე და ჩვენი ქუჩა ბრძოლის ველად იქცა. ჩვენ გვჭირდება პოლიციის განყოფილება, ფინანსები სამკურნალო ცენტრებისთვის“...

ხედავთ განსხვავებას?

ტრადიციული გაშუქება

- ინყება ძალადობის დეტალებით და ეთნიკურ ჯგუფებს ადანაშაულებს. ხალხის ეთნიკური კუთვნილება ხშირად არის ხაზგასმული.
- უსახელო პოლიციელის მოსაზრება მოცემულია როგორც ფაქტი.
- გვანჯდის ძალადობის დეტალებს, მაგრამ არ ხსნის ძალადობას.
- არ ცდილობს გააშუქოს სხვების ინტერესები და შეხედულებები.

კონფლიქტ-სენსიტიური გაშუქება

- არ ეხება ეთნიკურ იდენტობას, რადგან ეს თემა ყველაზე მნიშვნელოვანი არ არის.
- გვაჩვენებს ძალადობას, მაგრამ გვიხსნის, რომ ძალადობის მიზეზი ნარკოდოზები არიან.
- ინფორმაციას გვანჯდის ეთნიკურ კუთვნილებაზე, მაგრამ გვაჩვენებს, რომ ისინი მსხვერპლი არიან.
- ეძებს სხვა წყაროებსა და ინფორმაციას, გადანყვეტილებებთან ერთად.
- გვაჩვენებს, რომ პოლიციას არ შეუძლია გადანყვეტილების მიღება.

უსაფრთხოების ზომები

კონფლიქტის რეპორტიორი უნდა ერკვეოდეს უსაფრთხოების საკითხებში და მის დასაცავად ზომები მიიღოს. უსაფრთხოების დაცვის ძირითადი რეკომენდაციებია:

- არც ერთი ამბავი არ არის იმდენად კარგი, რომ სიკვდილად ან ტრავმად ღირდეს.
- დაგეგმეთ თქვენი გაქცევის მარშრუტები წინასწარ, თუ ძალადობის ჩვენებას ისახავთ მიზნად.
- აწონ-დაწონეთ რისკი და გადაწყვიტეთ, არის თუ არა ეს ამბავი რისკის თანაწონადი.
- გაეცანით პირველადი დახმარების წესებს, განსაკუთრებით, სისხლდენის შეჩერების წესს.
- არ ატაროთ იარაღი, არ იმოგზაუროთ შეიარაღებულ ჟურნალისტთან ერთად.
- დაასახელეთ თქვენი ვინაობა, სადაც კი საშუალება მოგეცემათ. თქვენი თავის წარდგენის დროს, ხაზი გაუსვით, რომ რეპორტიორი ხართ, არ დაახასიათოთ საკუთარი თავი სხვაგვარად.
- თუ აკრედიტირებული არ ხართ როგორც ომის კორესპონდენტი და თუ არ მოგეთხოვებათ სპეციალური ტანსაცმლის ტარება, არასოდეს ჩაიცვათ სამხედრო ან ნახევრად სამხედრო ტანსაცმელი.
- კარგად გაიაზრეთ ნიშნები, რომელიც მიუთითებს, რომ ცვალებად სიტუაციაში, შესაძლოა სხვა ფრაქციის გავლენის სფეროში გადადიხართ.
- თუ ფრონტის ორივე მხარეს მუშაობთ, არასოდეს მიაწოდოთ ინფორმაცია ერთ მხარეს მეორე მხარის სამხედრო ოპერაციების შესახებ.
- თან არ იქონიოთ რუკები, სადაც ადგილებია მონიშნული. ამ შემთხვევაში შესაძლოა ჯაშუშის შთაბეჭდილება დატოვოთ.

- თუ აღმოჩნდებით იქ, სადაც ხალხი გემუქრებათ, დამშვიდდით და მეგობრულად მოიქეცით. თან იქონიეთ სიგარეტი ან მცირე კომფორტის შემქნელი სხვა ნივთები და ხალხს შესთავაზეთ.
- გაიკეთეთ სამაჯური ან დაიმაგრეთ სანიშნე, რომელზეც თქვენი სისხლის ჯგუფია მითითებული.
- პოტენციურად საშიშ ადგილებში მუშაობის დროს ჩაიცვით ფეხსაცმელი, რომლითაც ადვილად ირბენთ.
- იქ, სადაც ადგილობრივი მოსახლეობაა, რატომ არის სიმშვიდე?
- გეშინოდეთ, – ეს ნორმალურია, მაგრამ პანიკაში არ ჩავარდეთ.
- დაზღვევა – სახიფათო ადგილებში მუშაობის დროს შეამონმეთ, დაგაზღვიათ თუ არა თქვენმა დამქირავებელმა ადეკვატურად.

ბიბლიოგრაფია

- A Guide for Professional Journalism in Conflict Zones, by Search for Common Ground, Jerusalem, 2014.
- Bjorkdahl, A., Developing a Tool Box for Conflict Prevention, Report on the Krusenberg Seminar, SIDA, September, 2000.
- Bush, K., A Measure of Peace: Peace and Conflict Impact Assessment of Development Projects in Conflict Zones, IDRC Working Paper No. 1, 1998.
- Du Toit, Peter, Conflict Sensitive Reporting: A toolbox for journalists; Sol Plaatje Institute for Media Leadership, School of Journalism & Media Studies, Rhodes University, Grahamstown, 2012.
- Gaigals, Cynthia: Conflict sensitive approaches to development practice, IDRC Report, 2000.
- Galtung, Johann, Constructive Approaches to Community and Political Conflict – High road, low road: charting the course for peace journalism, Track Two, Volume 7, Issue 4, Dec., 1998.
- Glasl, Friedrich, Konfliktmanagement, Vol. 2, Bern/Stuttgart, 2002.
- Howard, Ross, Conflict sensitive journalism, International Media Support, Copenhagen, 2012.
- Keeble, R. L., Tulloch, J. Zollmann, F., Peace Journalism War and Conflict Resolution, Peter Lang Publishing, 2010.
- McGoldrick, A., Lynch, J., “Peace Journalism, What is it? How to do it?”, Retrieved 10 Sept, 2017. <https://www.transcend.org/tri/downloads/McGoldrick-Lynch-Peace-Journalism.pdf>
- Roth, C.; Barbero, Ch et. al., “Conflict sensitive approaches to development, humanitarian assistance and peace-building” by Africa Peace Forum, Center for Conflict Resolution, Consortium of Humanitarian Agencies, Forum on Early Warning and Early Response International Alert.
- Tragedies & Journalists – A guide for more effective coverage by Dart Center for Journalism & Trauma; Dart Center for Journal-

ism & Trauma. Retrieved 21 Sept, 2017. <https://dartcenter.org/sites/default/files/en-tnj-0.pdf>

Youngblood, Steven, Peace Journalism Principles and Practice, Taylor & Frances, 2016.



თბილისი, პ. ჩანჩიბაძის ქუჩა 6

☎ 214 34 01, 577 33 38 57

stamba.damani@gmail.com

📘 სტამბა დამანი / Print House Damani



Friedrich Naumann
STIFTUNG

FÜR DIE FREIHEIT



Auswärtiges Amt

Freiheit.org
fnsc.fnst.org